41 ქართული ოცნება

განვითარება ყველა რეგიონს

ძვირფასო ქუთაისელებო!

მოგმართავთ იმ პასუხისმგებლობიდან გამომდინარე, რომელიც აღებული გვაქვს თითოეული თქვენგანის, ჩვენი ქვეყნის თითოეული მოქალაქის წინაშე!

თქვენ კარგად იცით სამშობლოს სიყვარულის, მშვიდობისა და თავისუფლების ფასი. ეს არის ის ღირებულებები, რომელთა ერთგულება თითოეული ჩვენგანის ვალია და რომლებმაც უნდა გაგვაერთიანოს ჩვენი ქვეყნისა და ხალხის საკეთილდღეოდ. „ქართული ოცნების“ პოლიტიკური საბჭო, ჩვენი მრავალათასიანი გუნდის სახელით აცხადებს, რომ მყარად დაიცავს ჩვენს ეროვნულ ინტერესებს და არავის მისცემს მძიმე წარსულში დაბრუნების შესაძლებლობას. „განვითარება ყველა რეგიონს“ – ეს არის ჩვენი მიზანი, რომელიც თქვენი მხარდაჭერით და თქვენთან ერთად, აუცილებლად შესრულდება.

ჩვენ მიერ წარდგენილი ქუთაისის მერობის კანდიდატისა და ქუთაისის საკრებულოს წევრობის კანდიდატების მხარდაჭერა უმნიშვნელოვანესია იმისათვის, რომ წარმატებით გაგრძელდეს მუნიციპალიტეტში დაწყებული პროექტები, გაგრძელდეს ქუთაისის განვითარება და გაუმჯობესდეს მოსახლეობის ცხოვრების პირობები.

ჩვენ გვაქვს კონკრეტული ხედვა და გეგმები, თუ როგორ უნდა განვითარდეს ქუთაისი და გვჯერა, რომ ჩვენი გუნდი თქვენგან კვლავაც მყარ მხარდაჭერას მიიღებს.

სამართლიან და თავისუფალ არჩევნებში ერთად უნდა ვიზეიმოთ ჩვენი საერთო გამარჯვება!

„ქართული ოცნების“ პოლიტიკური საბჭო

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ ᲛᲣᲜᲘᲪᲘ�პᲐᲚᲘᲢᲔᲢᲘ

ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲐ

„ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლისთანავე ეკონომიკის სისტემური რეფორმირება დაიწყო. ჩვენი გუნდის მმართველობის პირობებში, ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტი 2012 წელს არსებული 27,2 მილიარდი ლარიდან, 2020 წელს, პანდემიის ფონზე, 49,4 მილიარდ ლარს გაუთანაბრდა. ხელისუფლების გრძელვადიანი გეგმის მიხედვით, საშუალოვადიან პერიოდში ქვეყნის ეკონომიკური ზრდის ტემპი საშუალოდ 5%-ის ფარგლებში იქნება. ამ ფონზე, აბსოლუტური სიღარიბის მაჩვენებლის განახევრება იგეგმება, რაც 2030 წლისთვის 10.7%-მდე შემცირებას გულისხმობს.

„ქართული ოცნების“ ხელისუფლების პირობებში, ბიზნესი გათავისუფლდა პოლიტიკური წნეხისგან, შესაბამისად ბიზნესსექტორის ბრუნვის მოცულობა 2012 წელს არსებული 42 მილიარდი ლარიდან 2020 წელს, გლობალური პანდემიის მიუხედავად, 109,5 მილიარდ ლარს გაუტოლდა. ხელისუფლების ეკონომიკური პოლიტიკა მიზნად ისახავს ახალი სამუშაო ადგილების შექმნას. შესაბამისად, ჩვენი გუნდის მუშაობის შედეგად, შემდგომი ოთხი წლის განმავლობაში, უმუშევრობის დონე შემცირდება ერთნიშნა მაჩვენებლამდე.

ᲐᲓᲒᲘᲚᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲑᲘᲣᲯᲔᲢᲘ

გასული წლების განმავლობაში მნიშვნელოვნად გაიზარდა ხელისუფლების მიერ ქუთაისში განხორციელებული პროგრამებისა და პროექტების მოცულობა.

იზრდება ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი – თუ 2013 წლის მონაცემებით, ქუთაისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯების ნაწილი 53,9 მილიონ ლარს შეადგენდა, 2021 წლის გეგმის მიხედვით, საბიუჯეტო ხარჯების მუხლი 91,7 მლნ ლარს შეადგენს. ამასთან, იზრდება ადგილობრივი ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლების ნაწილი – თუ 2013 წელს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტმა შემოსავლების სახით 13,7 მილიონი ლარი მიიღო, 2021 წლის გეგმის მიხედვით, საკუთარი შემოსავლების გეგმური მაჩვენებელი უკვე 69,4 მლნ ლარს შეადგენს.

- **ადგილობრივი ბიუჯეტის ზრდა უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის განვითარების მიზნებისა და ამოცანების ეფექტიან განხორციელებას.**

ᲛᲔᲬᲐᲠᲛᲔᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐ

მეწარმეობის განვითარებისა და, ზოგადად, სამეწარმეო სულისკვეთების გაძლიერება ხელისუფლების ერთ-ერთ მთავარი ამოცანაა. ამ თვალსაზრისით, მოქმედებს რამდენიმე სახელმწიფო პროგრამა, რომელიც ორიენტირებულია მეწარმეობის ხელშეწყობაზე.

სახელმწიფო პროგრამა **„აწარმოე საქართველოში“** მხარდაჭერით, მუნიციპალიტეტში დაფინანსდა 16 საწარმო. აღნიშნულ საწარმოებში განხორციელებულმა ინვესტიციამ, ჯამურად, 28 მილიონ ლარზე მეტი შეადგინა. დაფინანსებული პროექტების ფარგლებში, საწარმოებში დასაქმდა 941 ადამიანი.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე **„აწარმოე საქართველოში“ პროგრამის სასტუმროს კომპონენტში** ხელი შეეწყო 10 სასტუმროს მშენებლობას. პროექტების ჯამურმა საინვესტიციო მოცულობამ 18,9 მილიონი ლარი შეადგინა. აღნიშნულ სასტუმროებში, პროგრამის ფარგლებში, დასაქმდა 193 ადამიანი, ხოლო ქალაქს 308 ახალი სასტუმროს ნომერი შეემატა.

მიკრო და მცირე მეწარმეობის მხარდამჭერი პროგრამით, მუნიციპალიტეტში, პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ მხარდაჭერით, 1,6 მლნ ლარის გრანტი გაიცა. სულ განხორციელდა 2,1 მლნ ლარის ინვესტიცია. ჯამურად დაფინანსდა 221 პროექტი, მათ შორის, არსებული ბიზნესის გაფართოების მიზნით 122, ხოლო ახალი „სტარტაპის“ მხარდასაჭერად – 99 პროექტი.

ქუთაისში, ასევე, შექმნილია 2 თავისუფალი ინდუსტრიული ზონა, სადაც განხორციელდა 110 მლნ-მდე აშშ დოლარის ინვესტიცია. ქალაქის ხელისუფლების მიერ მომავალში გაგრძელდება თავისუფალ ინდუსტრიულ ზონებში ახალი ინვესტორების მოზიდვაზე მუშაობა, რაც მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ქუთაისის ეკონომიკურ განვითარებას.

- **მომავალში გაგრძელდება და გაფართოვდება მეწარმეობის მხარდამჭერი პროექტების თუ სახელმწიფო პროგრამების განხორციელება;**
- **ხელი შეეწყობა ინოვაციური ეკოსისტემის განვითარებას;**
- **წარმოების გასაძლიერებლად გაგრძელდება ფინანსების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების სახელმწიფო პროგრამების დახვეწა და მათი ეფექტიანობის გაზრდა;**

ᲢᲣᲠᲘᲖᲛᲘ

„ქართული ოცნების“ გუნდის გონივრული პოლიტიკის შედეგად, ტურიზმის სფეროს განვითარების თვალსაზრისით, შთამბეჭდავი შედეგები იქნა მიღწეული. 2012 წლის შემდეგ, გაორმაგდა საერთაშორისო ვიზიტორთა რაოდენობა და 4,7 მილიონი მოგზაურიდან, 2019 წელს (პანდემიამდე), 9,4 მილიონს გაუთანაბრდა.

ტურისტული პოტენციალის სრულყოფილად ათვისების მიზნით, დაგეგმილია რიონისპირა სახლების ისტორიული იერსახის აღდგენა, მოცემულ ეტაზე მიმდინარეობს პროექტირება. ქალაქის ცენტრალური ნაწილის ტურისტული პოტენციალის განვითარების მიზნით, საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის დაფინასნებით, მიმდინარეობს ზ. ფალიაშვილის ქუჩის ფასადების სარეაბილიტაციო სამუშაოები.

ქალაქის კულტურული და სახელოვნებო ინფრასტრუქტურის განვითარების მიზნით, დაგეგმილია დავით კაკაბაძის სახელობის სახვითი ხელოვნების გალერეის რეკონსტრუქციარეაბილიტაციის პროექტი, რომელიც გარდა იერსახის მოწესრიგებისა, საშუალებას მოგვცემს, ფუნქციონალური დატვირთვის შესაბამისი პირობები შევქმნათ დაცული და გამოფენილი ხელოვნების ნიმუშებისათვის.

ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარებისა და გაჯანსაღებისათვის განხორციელდა რიონის სანაპიროს ისტორიული იერსახის აღდგენის პროექტი. საერთაშორისო ვიზიტორების მოზიდვისა და ქალაქის ცნობადობის გაზრდის მიზნით, ქუთაისის ტურიზმის საინფორმაციო ცენტრი ყოველწლიურად მონაწილეობს საერთაშორისო ტურისტულ გამოფენა-ბაზრობებში, უცხოური ტუროპერატორებისა და მასმედიის წარმომადგენლებისათვის პერიოდულად ეწყობა ინფოტურები.

საქართველო ოფიციალურად შეუერთდა ისტორიული ევროპული ბაღების ასოციაციას, რომელიც კურირებს ევროპის საბჭოს კულტურულ მარშრუტებში გაწევრიანებულ „ისტორიული ბაღების მარშრუტს“, სადაც საქართველო 5 ისტორიულ ბაღს წარადგენს. **საქართველო ოფიციალურად გამოცხადდა ევროპის საბჭოს კულტურული მარშრუტების რიგით მე-10 ფორუმის მასპინძელ ქვეყნად. საერთაშორისო მნიშვნელობის უმაღლეს ფორუმს, 2021 წლის შემოდგომაზე, ქ. ქუთაისი უმასპინძლებს.**

- **მომავალში „ქართული ოცნების“ გუნდის გეგმის თანახმად, საშუალოვადიან პერიოდში, 2025 წლისთვის ქვეყანას 10 მილიონი მოგზაური ეწვევა, ხოლო ტურიზმიდან მიღებული შემოსავალი 4.2 მილიარდ დოლარს გაუთანაბრდება;**
- **2030 წლისთვის საქართველო 13 მილიონ მოგზაურს უმასპინძლებს, ხოლო შემოსავლები 6,5 მილიარდ დოლარს მიაღწევს;**
- **სახელმწიფოს მხრიდან მომავალ წლებში გაგრძელდება ცნობიერების ამაღლების ტრენინგები და სხვადასხვა მარკეტინგული ღონისძიებები.**

ᲘᲜᲤᲠᲐᲡᲢᲠᲣᲥᲢᲣᲠᲐ

ქალაქის ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია და მოდერნიზება ქუთაისის გრძელვადიანი და ფუნდამენტური განვითარებისთვის უმნიშვნელოვანეს დატვირთვას ატარებს.

2020 წელს დასრულდა **ქუთაისის წყალმომარაგების პროექტი,** რის შედეგადაც ქუთაისის მოსახლეობას სრულად (90 000 ბენეფიციარი), 24 საათის განმავლობაში აქვს წვდომა ხარისხიან წყალმომარაგებაზე.

დასრულდა **ქუთაისის ისტორიული უბნის აღდგენა-რეაბილიტაციის** საპროექტო სამუშაოები. ამჟამად უკვე დასრულდა **ქუთაისის შემოვლითი ჩქაროსნული მაგისტრალის დამატებითი ორი ზოლი,** რაც მნიშვნელოვნად განტვირთავს ქალაქ ქუთაისში ავტომობილების ინტენსივობას.

გარდა ამისა, **დასრულებულია საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა ყველა ძირითად გამზირსა და ქუჩაზე.** აღდგენილი და რეაბილიტირებულია:

ქუთაისის განახლებული აეროპორტი

ქუთაისში ცხინვალის ქუჩის რეაბილიტაცია

რუსთაველისა და სულხან-საბას გამზირები, ჯავახიშვილის, ბუხაიძის, შარტავას, გუგუნავას, ტაბიძის, ასათიანის, ლერმონტოვს, ლორთქიფანიძის, ვარლამიშვილის, გრიშაშვილის, იაშვილის და თბილისის ქუჩები. ასევე მიმდინარეობს აღმაშენებლის გამზირისა და წერეთლის ქუჩების სრული რეაბილიტაციის პროექტები.

მდინარე ოღასკურას კალაპოტის გამტარუნარიანობის პრობლემა ათწლეულების მანძილზე აწუხებდა ქალაქს. მუნიციპალიტეტის დაფინანსებით, მოწესრიგდა ერთ-ერთი ყველაზე კრიტიკული მონაკვეთი (ბუხაიძის ქუჩაზე). ამჟამად დაკონტრაქტებულია და მიმდინარეობს მდინარის კალაპოტის რეკონსტრუქცია-რეაბილიტაცია ავტომშენებლის გამზირისა და ხარებავას ქუჩების თანაკვეთაზე. მოცემული მონაკვეთი წარმოადგენს ასევე კრიტიკულ ლოკაციას გამტარუნარიანობის თვალსაზრისით – უხვი ნალექის დროს, ხშირად იტბორებოდა კერძო და საჯარო ინფრასტრუქტურა. პროექტის დასრულების შემდეგ, ეს პრობლემა სრულად აღმოიფხვრება.

დასრულებულია საერთაშორისო მნიშვნელობის პროექტი, **ქუთაისის შემოვლითი გზა** – სამტრედიის მონაკვეთის 4-ზოლიან ავტომაგისტრალად მოდერნიზების სამუშაოები. პროექტის ჯამური საინვესტიციო მოცულობამ 185 მილიონ ლარზე მეტი შეადგინა.

- **უახლოეს მომავალში დაიწყება ქუთაისის წყალარინების პროექტი, რომლის, საინვესტიციო მოცულობა 432 მილიონ ლარს აღემატება.**

საერთაშორისო აეროპორტი

ქუთაისიდან 18 კილომეტრში, კოპიტნარში, ფუნქციონირებს დავით აღმაშენებლის სახელობის ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტი, საიდანაც ამჟამად მსოფლიოს 18 ქალაქში სრულდება პირდაპირი ავიაფრენები, რაც მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ტურიზმის განვითარებას არა მხოლოდ ქუთაისში, არამედ – მთლიანად რეგიონში.

მუდმივად მზარდია როგორც გადაყვანილ მგზავრთა სტატისტიკა, ისე განხორციელებული ავიარეისების რაოდენობა. 2013 წლიდან დღემდე, ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტი, დაახლოებით, 1,5 მილიონ მგზავრს მოემსახურა.

საქართველოს მთავრობის მიერ განახლდა ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტი. გაფართოების შედეგად, ტერმინალის საერთო ფართობი გაიზარდა 30 ათას კვადრატულ მეტრამდე, მგზავრთა გამტარუნარიანობა კი – წელიწადში 2,5 მილიონამდე.

მუნიციპალური ტრანსპორტი

ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკისა (EBRD) და საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის ერთობლივი პროექტით, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტს გადაეცა 60 ერთეული ახალი საქალაქო კლასის ავტობუსი, რომლებიც სრულად ადაპტირებულია ყველა კატეგორიის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (შშმ) პირების უსაფრთხო და მოხერხებული მგზავრობისათვის. შეიქმნა მუნიციპალური შპს „ქუთაისის სატრანსპორტო კომპანია“ და აშენდა ავტობაზა. შეიქმნა ელექტრონული გაბილეთიანების სისტემა და მოსახლეობის გარკვეული კატეგორიებისთვის დაწესდა შეღავათიანი მგზავრობის ტარიფები. ავტობუსის 100 გაჩერებაზე დამონტაჟდება ელექტრონული საინფორმაციო დაფები (ტაბლოები).

ქუთაისის ლოგისტიკური ფუნქცია

მიმდინარეობს მუშაობა ქუთაისში თანამედროვე ლოგისტიკური ცენტრების განვითარებისათვის, რაც ხელს შეუწყობს ლოგისტიკური სერვისების ერთ კლასტერში თავმოყრასა და ქვეყნის სატრანზიტო და ლოგისტიკური პოტენციალის სრულად რეალიზებას. ამასთანავე, ქუთაისის ლოგისტიკური ცენტრის მშენებლობა ხელს შეუწყობს ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტში სატვირთო ტერმინალის განვითარებას. ტრანსპორტის სფეროს განვითარებისა და საქართველოს, როგორც რეგიონული ცენტრის, პოტენციალის სრულად ათვისებისათვის საქართველოს მთავრობა განახორციელებს აქტიურ პოლიტიკას.

- **სატრანზიტო დერეფნის კონკურენტუნარიანობის გასაზრდელად გაგრძელდება საერთაშორისო სატრანსპორტო სისტემაში ინტეგრაცია და რეგიონული თანამშრომლობის გაღრმავება;**
- **დაგეგმილია ქუთაისის აეროპორტში კარგო ტერმინალის განვითარება.**

გარემოს დაცვა

„ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლისთანავე, გარემოსდაცვითი ღონისძიებების განსახორციელებლად, არაერთი რეფორმა გატარდა. ქვეყნის მასშტაბით, 2012 წელს დაცული ტერიტორიების ფართობი 519 ათას ჰექტარს შეადგენდა, დღეისათვის 798 ათასი ჰექტარია. 2012-2020 წლებში შეიქმნა 26 ახალი და გაფართოვდა 3 დაცული ტერიტორია.

ევროკავშირის მხარდაჭერით, ხორციელდება ქალაქ ქუთაისის მყარი ნარჩენების მართვის პროექტი. გონივრული მყარი ნარჩენების მართვის პოლიტიკა მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს ქალაქის ეკოლოგიურ მდგომარეობას.

გარემოს ეროვნული სააგენტო მუდმივად, უწყვეტ რეჟიმში ახორციელებს ჰიდრომეტეოროლოგიურ დაკვირვებებს, ამზადებს და ავრცელებს ამინდის პროგნოზებსა და გაფრთხილებებს მოსალოდნელი სტიქიური ჰიდრომეტეოროლოგიური მოვლენების შესახებ.

2020 წელს ქ. ქუთაისის ტერიტორიაზე განთავსდა თანამედროვე მეტეოროლოგიური რადარი, რაც ხელს უწყობს დასავლეთ საქართველოს უმეტეს ნაწილში ამინდის პროგნოზის გაუმჯობესებას, შესაბამისად, მაღალი სიზუსტის ადრეული შეტყობინების გავრცელების გზით, სტიქიური მოვლენებისგან შესაძლო უარყოფითი შედეგების შერბილებას – პროექტის ღირებულება 554 480 ლარია.

რეგულარულად ხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებული ობიექტების ინსპექტირება, მათ მიერ გარემოს დაცვის სფეროში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი ნორმების შესრულების მდგომარეობის შესწავლის, ასევე გამოვლენილი დარღვევების აღმოფხვრისა და დაკისრებული ვალდებულებების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით.

გარემოს ეროვნული სააგენტოს გეოლოგიის დეპარტამენტის მიერ ყოველწლიურად (შემოდგომა-გაზაფხულის ფორმატი) ხორციელდება სტიქიური გეოლოგიური პროცესების მონიტორინგი, ფორსმაჟორულ სიტუაციაში მდგომარეობის ოპერატიული შეფასება და რეკომენდაციების შემუშავება პრევენციული ღონისძიებების გატარების მიზნით;

- **გაგრძელდება ატმოსფერული ჰაერის, ნიადაგის და წყლის ხარისხის მონიტორინგისა და შეფასების სისტემების გაფართოება;**
- **გაგრძელდება სტიქიური გეოლოგიური პროცესების ყოველწლიური მონიტორინგი, შეფასდება გეოლოგიური საფრთხის ქვეშ არსებული დასახლებები და ოჯახების (კომლი) საკარმიდამო ნაკვეთები, საცხოვრებელი სახლები და ინფრასტრუქტურული ობიექტები, გაიცემა რეკომენდაციები გასატარებელი დამცავი ღონისძიებების შესახებ;**
- **გაგრძელდება გარემოსდაცვითი ზედამხედველობის სისტემის გაძლიერება და ეფექტიანობის ამაღლება, მათ შორის, დაგეგმილია ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვა დარღვევათა პრევენციის, გამოვლენისა და აღკვეთის მიზნით (ე.წ. ცხელი წერტილების კონტროლი სამეთვალყურეო კამერებით, ახალი თაობის დრონების გამოყენებით და სხვა);**
- **გარემოსდაცვითი სტანდარტები თვისებრივად დაუახლოვდება ევროპულ მოთხოვნებს;**
- **ხელისუფლების გეგმის თანახმად, 2030 წლისთვის დაცული ტერიტორიების ფართობი 1 მილიონ ჰექტარს გაუთანაბრდება.**

ქუთაისში, რუსთაველის გამზირზე გამწვანების პროექტი

იოსებ ხახალეიშვილი: „მჯერა, ერთად გავაგრძელებთ ჩვენი ქუთაისის განვითარებას!“

მეხუთე თაობის ქუთაისელს, მშობლიურ ქალაქზე განსაკუთრებით შესტკივა გული. პატივი – ქუთაისის მერის პოზიციიდან საუნივერსიტეტო ქალაქის განვითარებაში წვლილი შეეტანა, უკვე 9 თვეა, რაც აქვს, თუმცა, მანამდეც არაერთხელ მიეცა ამის შესაძლებლობა – წლების განმავლობაში საერთაშორისო არასამთავრობო სექტორში იმუშავა, შემდეგ გუბერნიაში სხვადასხვა პოზიციაზეც აგრძელებდა ქალაქსა თუ რეგიონზე ზრუნვას და იმერეთში სახელმწიფო რწმუნებულის პირველი მოადგილეც გახლდათ.

„ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველოს“ ქუთაისის მერობის კანდიდატი იოსებ ხახალეიშვილი ამბობს, რომ მისი მერობის პერიოდში ქუთაისში არაერთი პროექტი განხორციელდა, თუმცა უფრო მეტი – დაწყებული ან დაგეგმილია. საარჩევნო მარათონში სწორედ იმიტომ ჩაერთო, ქუთაისთან დაკავშირებული გეგმები სისრულეში რომ მოიყვანოს და მის განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანოს.

დაიბადა 1973 წლის 3 ივნისს, ქალაქ ქუთაისში. 1990 წელს წარჩინებით დაამთავრა ქუთაისის პირველი საშუალო სკოლა. ასევე წარჩინებით დაამთავრა ქუთაისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის კვების ტექნოლოგიის ფაკულტეტი 1995 წელს, ხოლო 1998 წელს – საქართველოს დიპლომატიური აკადემიის საერთაშორისო ურთიერთობათა ფაკულტეტი.

1998-1999 წლებში მუშაობდა იმერეთში საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულის-გუბერნატორის ადმინისტრაციაში სახელმწიფო რწმუნებულის მრჩევლად. 1999-2001 წლებში იყო ამერიკულ საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციაში „საერთაშორისო სამედიცინო კორპუსი“ პროექტის – „პირველადი საზოგადოებრივი ჯანდაცვა და სამედიცინო განათლება დასავლეთ საქართველოში” – ინფორმაციის, განათლებისა და კომუნიკაციის საკითხთა კოორდინატორი, პროგრამის ხელმძღვანელი.

2001-2003 წლებში მუშაობდა საერთაშორისო ორგანიზაციაში „ქეა საერთაშორისო კავკასია“, ესპანურ საერთაშორისო ორგანიზაციაში „მოძრაობა შიმშილის წინააღმდეგ“. 2003 წლის ნოემბრიდან 2004 წლის სექტემბრამდე იყო საერთაშორისო ორგანიზაციის „გადავარჩინოთ ბავშვები“ პროექტის – „ჯანმრთელი ქალი საქართველოში” – ინფორმაციის, განათლებისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის კოორდინატორი. 2004-2006 წლებში იყო გაერო-ს საქართველოს ოფისში „მსოფლიო სასურსათო პროგრამის“ პროექტის მონიტორინგის ჯგუფის ხელმძღვანელი, „გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ბავშვთა ფონდის“ პროექტის – „ჯანსაღი ცხოვრების წესის მხარდაჭერა საგანმანათლებლო დაწესებულებებში“ – ხელმძღვანელი. 2006-2014 წლებში მუშაობდა „ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველოს“ აღმასრულებელ დირექტორად.

2014-2019 წლებში იყო იმერეთში სახელმწიფო რწმუნებულის-გუბერნატორის ადმინისტრაციაში რეგიონული პროექტების კოორდინირების სამსახურის უფროსი, სახელმწიფო რწმუნებულის-გუბერნატორის მოადგილე.

2019 წლის 20 სექტემბრიდან არის სახელმწიფო რწმუნებულის-გუბერნატორის პირველი მოადგილე. 2020 წლიდან დღემდე ქუთისის მუნიციპალიტეტის მერი.

ჰყავს მეუღლე და სამი შვილი.

– ბატონო იოსებ, თქვენი აზრით, გუნდმა ნდობა ისევ თქვენ რატომ გამოგიცხადათ?

– ალბათ, შეფასდა ის საქმიანობა, რომელსაც ვეწეოდი ქუთაისის მერად ყოფნის ამ ხანმოკლე პერიოდში. გარდა ამისა, ჩვენი გუნდი მოკლევადიან გათვლებს არ აკეთებს და გასულ წელს, როცა მერობის კანდიდატად დამასახელეს, არ მქონდა განცდა, რომ ეს იქნებოდა მხოლოდ 9-თვიანი მოღვაწეობა. შარშან კი გადაწვეტილების მიღებამდე, ალბათ, იმოქმედა ყველაფერმა ერთად – ჩემმა პიროვნებამ, განვლილმა ცხოვრებამ, საქმიანობამ და იმ ღირებულებებმა, რომლებიც ამ გუნდის ღირებულებებთან თანხვედრაშია. სხვათაშორის, ეს უკანასკნელი ერთ-ერთი მიზეზია, რის გამოც მე „ქართული ოცნების“ წევრი ვარ. ცხადია, სხვა ბევრი მიზეზიც არის. მაგალითად, ის, რომ მხოლოდ ამ გუნდში ვხედავ ჩვენი ქვეყნის სწორად განვითარების სურვილს და შესაძლებლობას. „ქართული ოცნება“ უალტერნატივოა.

– ქუთაისის მერის პოზიციაზე ამ მოკლე პერიოდში რისი გაკეთება მოასწარით?

– საკმაოდ რთული პერიოდი დაემთხვა. ამ არასრულ 1 წელში იყო „ლოქდაუნი“. მიუხედავად ამისა, არაერთი მნიშვნელოვანი პროექტი განვახორციელეთ ან დავიწყეთ. ყველაზე ხაზგასასმელი, ალბათ, ის არის, რომ შევძელით და ბიუჯეტი გავზარდეთ. წელს ქუთაისის ბიუჯეტი უპრეცედენტოდ მაღალია – 91 მილიონ ლარს გადააჭარბა. თითქმის 25 მილიონ ლარამდე გვაქვს გამოყოფილი ინფრასტრუქტურული პროექტებისთვის. დროდადრო, რეაბილიტაციის პროცესს გარკვეული დისკომფორტიც ახლავს, მაგრამ მთავარია, რომ ამ პროექტების დასრულების შემდეგ, ქუთაისში ბევრი რამ შეიცვლება, გაუმჯობესდება და ამას, ადგილობრივი მოსახლეობის გარდა, ჩვენი ქალაქის სტუმრებიც იგრძნობენ. მნიშვნელოვანია, რომ წელს ვმასპინძლობთ „ევროპული საბჭოს კულტურული მარშრუტების ფორუმს“, რაც ქუთაისის ცნობადობის ზრდისა და სამომავლო აქტივობების დაგეგმვისთვის ძალიან მნიშვნელოვანი ღონისძიებაა. პანდემიამ გარკვეულწილად მას ფორმატი შეუცვალა და ჰიბრიდული იქნება. 250 ადამიანის ნაცვლად, შედარებით მცირე რაოდენობა ჩამოვა და ონლაინ ფორმატშიც ვიმუშავებთ. ამ მოკლე დროში შევძელით ისიც, რომ ძალიან ბევრი სკვერისა და პარკის გაკეთება, მწვანე სივრცეების შექმნა დავიწყეთ. განსაკუთრებით მახარებს, მერაბ კოსტავას სახელობის სკვერი რომ მოვაწესრიგეთ. კედელზე მისი პორტრეტი და ლექსია მისივე კალიგრაფიით შესრულებული. წლების განმავლობაში ისეთ მდგომარეობაში იყო, როგორიც ეროვნული გმირის ხსოვნას არ ეკადრება. ასევე უზომოდ ბედნიერი ვარ, რომ ქუთაისში, შინდისის გმირების ქუჩა დავარქვით მოსკოვის ქუჩას. ეს იყო ჩემი იდეა, რომელიც საკრებულოსთან შეთანხმებით, სისრულეში მოვიყვანეთ. ეს იყო ჩემი სიმბოლური პროტესტიც ოკუპაციის წინააღმდეგ. მეამაყება ისიც, რომ დავაარსეთ მოკლემეტრაჟიანი ფილმების საერთაშორისო ფესტივალი, რომელიც ყოველწლიურ ტრადიციად იქცევა და ქუთაისი – ვასილ ამაშუკელის ქალაქი იქნება მისი მასპინძელი. მიხარია, რომ ქალაქში ჩემი მერის პოზიციაზე საქმიანობის პერიოდში დაიწყო ფუნქციონირება ახალმა მუნიციპალურმა ტრანსპორტმა. ასევე, მნიშვნელოვანია პრემიერის მიერ ინიცირებული, რეგიონების რეაბილიტაციის 500-მილიონიანი პროექტი, რომლის ფარგლებში ქუთაისში, ფალიაშვილის ქუჩის რეაბილიტაცია მიმდინარეობს. გვექნება განახლებული ცენტრალური ბულვარი, რომლის რეაბილიტაციაც დაგეგმილია და კიდევ ბევრი სხვა რამ, რაც ქუთაისის ისტორიულ მნიშვნელობას კიდევ უფრო მკაფიოს გახდის და მომავლის პერსპექტივებს განავითარებს, ტრადიციების პატივისცემასთან ერთად, ბევრ ინოვაციას გაუხსნის გზას.

– ანუ, ვერც მცირე დრომ და ვერც პანდემიამ შეგიშალათ ხელი?

– პანდემია დიდი გამოწვევა იყო, თუმცა საქმე არ შეჩერებულა. ასეთ დროს ჩვენი მთავარი საფიქრალი იყო, თანამოქალაქეებს მაქსიმალურად დავდგომოდით გვერდით და გაგვეწია დახმარება. ბიზნესისა და სახელმწიფოს ერთად დგომის შედეგად, შევძელით ამ გამოწვევების გადალახვა, ჩვენი მოსახლეობის განსაცდელიდან გამოყვანა. კოვიდთან დაკავშირებით ძალიან მნიშვნელოვანი საინფორმაციო ცენტრი გვაქვს, რომლითაც შევძელით, დროული რეაგირებით არაერთი ჩვენი თანამოქალაქის სიცოცხლე გადაგვერჩინა. სხვათაშორის, ამ ცენტრის მუშაობა, თვითმმართველობათა ეროვნულმა ასოციაციამ 2020 წლის საუკეთესო წარმატებული პრაქტიკის პროექტად დაასახელა. შევეცადეთ, მოქალაქეებისთვის მიგვეწოდებინა რაც შეიძლება მეტი ციფრული და ელექტრონული სერვისი. აუცილებლად უნდა აღვნიშნო ცენტრალური ხელისუფლების რგოლების მართვის მექანიზმი. ხელისუფლებამ შეძლო ძალების მაქსიმალური მობილიზება, რომ ეს გამოწვევა ნაკლებად მტკივნეული ყოფილიყო მოქალაქეებისთვის.

– საინტერესოა, ამჯერად რა გეგმები გაქვთ მუნიციპალიტეტთან დაკავშირებით?

– ახლა უკვე შეგვიძლია ჩვენს თანამოქალაქეებს გრძელვადიანი პერსპექტივები შევთავაზოთ. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ უკვე დასრულდა ქალაქის გენერალური განვითარების გეგმის ხედვის ეტაპი. ჩამოყალიბდა 4 მნიშვნელოვანი მიმართულება. გეგმის მიხედვით დავიწყებთ ქალაქის განვითარებას. ქუთაისი უნდა იყოს სინერგიული განათლების ცენტრი, მწვანე ქალაქი, ჩვენი ქვეყნის კარიბჭე ევროპაში. ამის საფუძველს ქუთაისს ტექნოლოგიური უნივერსიტეტი აძლევს. ეს უნივერსიტეტი ხელშემწყობი ფაქტორია არა მხოლოდ ქალაქის, არამედ მთლიანად დასავლეთ საქართველოს და, ზოგადად, ქვეყნის განვითარებისთვის. ასევე, ქუთაისი უკვე გახდა ტურისტულად მნიშვნელოვანი ლოკაცია, რაც აეროპორტისა და ახალი ტერმინალის დამსახურებაცაა. ჩვენი ქალაქი უფრო მეტად მიმზიდველი ხდება ვიზიტორებისთვის და სერიოზულად პოზიციონირებს ტურისტულ რუკაზე. ტურიზმის ხელშეწყობა უმნიშვნელოვანესია და ამ მიმართულებით მნიშვნელოვან ნაბიჯებს გადავდგამთ.

– ქუთაისზე ყოველთვის ემოციით და დიდი სიყვარულით საუბრობთ. რამ განაპირობა ქალაქისადმი ასეთი განსაკუთრებული დამოკიდებულება?

– მეხუთე თაობის ქუთაისელი ვარ. ძირძველ ქუთათურ ოჯახში დავიბადე. მამა გურამ ხახალეიშვილი, დამსახურებული ტრანსპორტელი და ქალაქის კოლორიტი იყო. დედა ეთერ კუტივაძე, პროფესიით ეკონომისტი, დღეს უკვე პენსიონერია. მყავს და, მარიამი, რომელიც უკვე 5 შვილიშვილის და 2 შვილთაშვილის ბებიაა. ჩვენ შორის სხვაობა ერთი წელია, თუმცა ერთ კლასში ვსწავლობდით. ლაღი, ზომიერად ანცი და შინაარსიანი ბავშვობა გვქონდა. მოგზაურობაზე შეყვარებულმა მშობლებმა მთელი საქართველო შემოგვატარეს. ქუთაისის №1 სკოლა დავამთავრე. თავი გადადებული მქონდა სწავლისთვის. ერთ-ერთი მიზეზი ის იყო, რომ მამა ხშირად ამბობდა, გულში ხინჯად მაქვს, რაღაც სუბიექტური მიზეზების გამო სკოლა მედლით ვერ დავამთავრე და ვოცნებობ, ჩემი შვილი მედალოსანი იყოსო. მამას ეს ოცნება ავუსრულე. ეს რომ შემძლებოდა, მაღალ კლასებში, მიუხედავად კარგი პერსპექტივის და იმ ასაკითვის სპორტში მიღწეული წარმატებისა, კალათბურთსა და განათლებას შორის არჩევანი სწავლაზე გავაკეთე. ჰუმანიტარული საგნები მიყვარდა, განსაკუთრებით, ქართული და ისტორია. ტურებში ვმონაწილეობდი და ხუთოსნების დაფაზეც ყოველ წელს გამოკრული იყო ჩემი ფოტო. შეიძლება ითქვას, „სკოლის სახეც“ გახლდით – ყველა სტუმარს მე ვხვდებოდი, ვათვალიერებინებდი და სიამაყით ვუყვებოდი, რომ სხვადასხვა დროს, სწორედ ამ ისტორიული შენობის კედლებში მიიღეს განათლება აკაკი წერეთელმა, ნიკო ნიკოლაძემ, ნიკო მარიმ, აკაკი შანიძემ, შალვა ნუცუბიძემ, დიმიტრი უზნაძემ, სი-

მონ ყაუხჩიშვილმა, ტიციან ტაბიძემ, პაოლო იაშვილმა, ნიკო ლორთქიფანიძემ, ლეო ქიაჩელმა, აკაკი ხორავამ, უშანგი ჩხეიძემ და თვით ექვთიმე ღვთისკაცმაც კი.

– პროფესიაც მამის გავლენით ხომ არ აირჩიეთ?

– არა, ჯერ კიდევ სკოლაში გადავწყვიტე, რომ დიპლომატობა მინდოდა. გავლენა „დიპლომატიის ისტორიის“ სამტომეულმა მოახდინა. ისეთი შთაბეჭდილების ქვეშ მოვექეცი, სამომავლო გეგმები დავსახე: მე-8 კლასის მერე მოსკოვში სპეციალურ სკოლაში უნდა გადავსულიყავი და უმაღლესი განათლებაც მოსკოვის ინსტიტუტში მიმეღო. სანამ წასვლის დრო მოვიდა, საქართველოში ეროვნული მოძრაობა დაიწყო, მერე 1989 წლის 9 აპრილიც მოხდა და რუსეთში სწავლაზე უარი ვთქვი – საბჭოთა დიპლომატი არ გავხდებოდი!!! მეორე პროფესია, რომელიც ასევე მაინტერესებდა, ექიმობა იყო. სამედიცინო ინსტიტუტში ჩაბარება გადავწყვიტე, მაგრამ იმ წელს, გარკვეული მიზეზების გამო, ამ სასწავლებელმა მიღება საერთოდ არ გამოაცხადა. საბოლოოდ, ქუთაისის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში შევიტანე საბუთები კვების მრეწველობის ტექნოლოგიების ფაკულტეტზე. ინსტიტუტი რომ დავამთავრე და მუშაობა დავიწყე, თბილისში შეიქმნა დიპლომატიური აკადემია. მივხვდი, რომ შაგრენის ტყავივით დაპატარავებული ჩემი ოცნება შეიძლებოდა ასრულებულიყო – მომეცა შანსი ქართულ დიპლომატიურ აკადემიაში ჩამებარებინა. აკადემიაში ჩემი სწავლა ქალაქმა დააფინანსა, ოღონდ მაშინდელმა მერმა ჯენტლმენური შეთანხმება დაგვიდო – სწავლის დასრულების შემდეგ, აუცილებლად დავბრუნდებოდით ქუთაისში. ჩემთვის მნიშვნელოვანია სიტყვისკაცობა და მეც დავბრუნდი. თანაც მაშინ გუბერნიები ახალშექმნილი იყო. ჩემი სამომავლო ბედიც ამ სამსახურმა განსაზღვრა. ზოგჯერ ვფიქრობ, რომ ჩემი კარიერა შემთხვევების გამოყენებაზეა აწყობილი. 1999 წელს, რწმუნებულის თანაშემწე რომ ვიყავი, გვიან ღამით, მისაღებში ქალბატონი შემოვიდა და დამტვრეული ქართულით მომესალმა. იგი ნოე ჟორდანიას შვილიშვილი, ნიკოლ ჟორდანია აღმოჩნდა. ინგლისურად რომ ვესაუბრე, გაუხარდა. მაშინ ბევრმა არ იცოდა უცხო ენა. ნიკოლ ჟორდანია იყო USAID-ის თანამშრომელი და კურირებდა საგრანტო კონკურსებს, დიდ პროგრამებს. საქართველოში ახალი პროგრამის დაწყების მიზნით იყო ჩამოსული და გუბერნატორთან შეხვედრა სურდა. დაახლოებით, 1 საათი ვისაუბრეთ საქართველოზე, ნოე ჟორდანიაზე... სამი დღის შემდეგ კი დამირეკა და მითხრა, გადავწყვიტეთ, ამ ახალი განათლებისა და კომუნიკაციის პროგრამის კოორდინატორობა შემოგთავაზოთო. ასე, სრულიად შემთხვევით გადავედი საერთაშორისო არასამთავრობო სექტორში, სადაც თითქმის 15 წელი ვიმუშავე.

– ყველაზე საამაყო რომელი პროექტი განახორციელეთ და რამდენად რთული იყო არასამთავრობო სექტორში მუშაობა წინა ხელისუფლების პირობებში?

– ეს იყო ბევრი შესაძლებლობის და იდეების განხორციელების წლები. მაშინ არასამთავრობო სექტორი ახალფეხადგმული იყო. სხვადასხვა ორგანიზაციის ეგიდით, არაერთი მნიშვნელოვანი პროექტი განვახორციელეთ. არ დამავიწყდება სიამაყის განცდა, როცა ბაღდათში პირველი ამბულატორია ავაშენეთ. საამაყო იყო გაერო-ს ბავშვთა ფონდში მუშაობაც. ერთია როცა საუბრობ აღმშენებლობაზე და მეორეა, როცა ბავშვებს ესაუბრები უნარ-ჩვევების შეცვლაზე, ცხოვრების ჯანსაღ წესზე, საკუთარი უფლებების დაცვაზე. საოცარი შეგრძნებაა, როცა რეგიონებში ბავშვებთან, რომლებსაც არც ბურთი ჰქონდათ, არც კალათბურთის ბადე და ამაზე მხოლოდ ოცნებობენ, ერთ დღეს ჩაგაქვს ყველაფერი. ხედავ, როგორ იტაცებენ ნივთებს, აწყობენ და ხვდები, რომ არაფერი სჯობს გახარებული ბავშვების ცქერას. საბედნიეროდ, ბევრი ასეთი მომენტი მქონია ცხოვრებაში. 2006 წლიდან საერთაშორისო ორგანიზაციის წევრი „ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტოს“ ხელმძღვანელი ვიყავი. დემოკრატიასა და მის განვითარებაზე მაშინდელ ხელისუფლებასთან საუბარიც კი ჭირდა. ევროპის საბჭოში ხშირად მიწევდა გამოსვლა და ყოველთვის ღიად ვაფიქსირებდი, როგორ ილახებოდა ჩვენს ქვეყანაში ადამიანის უფლებები, როგორ პირობებში უწევდათ ჩვენს მოქალაქეებს ცხოვრება. ჩვენი ორგანიზაცია ევროსაბჭოს მხარდაჭერით მუშაობდა და ჩვენ პირველებმა გავაკეთეთ პროექტი „ჩემი თვალით დანახული საქართველო“. ევროსაბჭოს ოფისში ფოტოგამოფენა მოეწყო. ყველამ ნახა ფოტოები, სადაც ჩანდა, როგორ ეძებენ ადამიანები საკვებს ნაგავსაყრელზე, რა ხდება ლამაზი ფასადების მიღმა... ატყდა ერთი ამბავი. საქართველოში დაბრუნების შემდეგ, მიხვდნენ, რომ რადგან საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენელი ვიყავი, სჯობდა ურთიერთობები დაელაგებინათ. მერიაში მიბარებდნენ, სადაც შეხვედრებს ესწრებოდნენ კუდ-ის წარმომადგენლები. „ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო“ წლების მანძილზე, საერთაშორისო ექსპერტებთან პარტნიორობით, წარმატებით მუშაობდა თვითმმართველობის გაძლიერებასა და მოქალაქეთა ჩართულობაზე ამ პროცესში.

– დღეს როგორია „თქვენი თვალით დანახული საქართველო“ და დემოკრატიის ხარისხი?

– დღევანდელი ხელისუფლების მთავარი მიზანი ადამიანის უფლებების დაცვაა. დღეს საქართველოში გამოხატვის თავისუფლებაა და ამას ყველა საერთაშორისო ორგანიზაცია აღიარებს. კრიტიკული შენიშვნები და რჩევები არის, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ გადაცდომები მაღალი ხარისხის დემოკრატიულ ქვეყნებშიც ხდება. „ქართული ოცნების“ ღირებულებები იყო მიზეზი, რომ დავთანხმდი შემოთავაზებას გუბერნატორის ადმინისტრაციაში მემუშავა. რეგიონული პროექტების კოორდინირების სამსახურის უფროსად დამნიშნეს. ინფრასტრუქტურის სამინისტროსთან ერთად შევიმუშავეთ შეფასების სპეციალური სისტემა, კრიტერიუმები. პროცესში ჩავრთეთ მოსახლეობაც. 2014 წლის გაზაფხულზე, რამდენიმე ასეული სოფლის კრება ჩავატარეთ იმერეთში და მოსახლეობას პირველად მივეცით აზრისა და სურვილის გამოხატვის საშუალება. მალე ამას მოჰყვა მონაწილეობითი ბიუჯეტირება, რაც თვითმმართველობების განვითარების ერთ-ერთი მექანიზმია. შემდეგ იმერეთის რწმუნებულის პირველი მოადგილეც ვიყავი. საერთაშორისო ურთიერთობები და ტურიზმი იყო ჩემი საკურატორო სფერო. წარმატებული და ნაყოფიერი იყო ის 5 წელი. მანამდე იმერეთს არც ერთი დამეგობრებული რეგიონი არ ჰყავდა და 7 რეგიონთან დამეგობრება შევძელით. იმერეთი გახდა ყველაზე დიდი ევროპული რეგიონული პლატფორმის, ევროპის რეგიონთა ასამბლეის წევრი. გარდა ამისა, იმერეთი საქართველოში ერთადერთი რეგიონია, რომელიც ჩემი ინიციატივით, ისტორიული თერმული ქალაქების ასოციაციის წევრი გახდა. სხვათაშორის, სწორედ ამან განაპირობა, რომ ქუთაისი უმასპინძლებს ევროსაბჭოს კულტურული მარშრუტების დიდ ფორუმს. განვლილი ცხოვრება, ქუთათურებთან ურთიერთობა მაძლევს რწმენას, რომ გავიმარჯვებ. ჩემი თანაქალაქელების მხარდაჭერას ვგრძნობ და მახარებს. ასევე უმნიშვნელოვანესია ჩემი გუნდის მხარდაჭერა. საზოგადოებამ კარგად იცის, ვის რა მიზნები ამოძრავებს. ხალხი ბრძენია და ყველაფერს ხედავს. ადგილობრივი არჩევნები მარტივი ნამდვილად არ იქნება. თუმცა, ქუთაისს აქვს ამბიცია, მშვიდად, ქუთათურებისთვის შესაფერისად, ერთმანეთისთვის ყოველგვარი სიბინძურისა და ტალახის სროლის გარეშე ჩავატარებთ ამ არჩევნებს. სწორედ გაკეთებული საქმეებით, სამომავლო გეგმებით, გუნდის ერთობით და ერთმანეთის გვერდით დგომით, გავაგრძელებთ ჩვენი ქუთაისის და ქვეყნის განვითარებას.

იოსებ ხახალეიშვილის ოჯახი და „სწორი გზა“

ნინო ბანძელაძე, მომავალი მეუღლე, ცნობილი ექიმების შვილი, თავადაც ექიმ-რეპროდუქტოლოგი, მეგობრებმა გააცნეს. გაცნობისთანავე მოეწონა, მაგრამ გარკვეული პერიოდი არავისთვის გაუმხელია. მერე უკვე ყოველ დილით, სამსახურში, სამუშაო მაგიდაზე, ნინოს ფერადი ყვავილების თაიგული და შოკოლადი ხვდებოდა. სახლში გაცილების ტრადიცია ცოტა გვიან დაიწყო, ბევრი სიურპრიზის და სიხარულის მინიჭების შემდეგ, როცა ერთმანეთთან საკუთარ ინტერესებზე, ოცნებებსა და გატაცებებზე ლაპარაკი დაიწყეს. მალე აღმოაჩინეს, რომ ერთმანეთი ბევრი გამორჩეული თვისებით მოსწონდათ და ეს ის არაჩვეულებრივი განცდა იყო „ერთადერთს“ რომ ეძახიან.

„სოსო განსხვავებული იყო, მისი ფიქრები და მიზნები არ ჰგავდა ბევრი ჩემი თანატოლისგან მოსმენილს. არ ჰქონდა სიყალბე. პატივს ცემდა საკუთარ და სხვის დამოკიდებულებებს ტრადიციის მიმართ, მაგრამ ჰქონდა მისი დამოუკიდებელი გზა და ბევრი არგუმენტი, რატომ უნდა გევლო მის გვერდით ერთგულად და სიყვარულით. მთავარი ერთგულება და სიყვარულია, რაც დღემდე გვაქვს და ეს მისი ხასიათია ნამდვილად“-ამბობს ნინო.

წყვილს სამი შვილი ჰყავს. იოსები იხსენებს, რომ მის ცხოვრებაში ერთ-ერთი ბედნიერი დღე იყო, როცა მეუღლის ორსულობის ამბავი შეიტყო. უკვე ტკბილად იხსენებს იმ ამბავს, როცა მეუღლე კონსულტაციაზე მიიყვანა, ნინო კი, ექიმის კაბინეტიდან ატირებული გამოვიდა და უთხრა: „იცი, ექიმმა მითხრა, ტყუპები გყავსო. შენ არ იცი, რა რთულია პირველ ჯერზე ტყუპების გაჩენა“. ეს სიტყვები ხშირად მახსენდება და ყველა ჯერზე იგივე განცდა მაქვს – ჩემზე ბედნიერი სამყაროში კაცი არ მეგულება!“.

ტყუპები – გიორგი და მარიამი უკვე აბიტურიენტები არიან. ისინიც №1 სკოლაში სწავლობენ. ფიზიკურად ერთმანეთს არ ჰგვანან, მაგრამ ერთმანეთი განსაკუთრებით უყვართ. გიორგის ექიმობა უნდა, მარი კი, პიარტექნოლოგიებს დაეუფლება. მან ერთ-ერთ კომპანიაში მოხალისედ დაიწყო მუშაობა და საკუთარი გადაწყვეტილებით ძალიან კმაყოფილია. სწავლობენ უცხო ენებს, უყვართ ინიციატივები, იტაცებთ ციფრული ტექნოლოგიები, როგორც ამ თაობის ბევრ ახალგაზრდას, არიან მიზანდასახულები და ჰყავთ კარგი მეგობრები.

ოჯახის წევრები იოსებ ხახალეიშვილის ყველაზე გულწრფელი შემფასებლები და გულშემატკივრები არიან. ნინოს მზრუნველობამ და მშვიდმა ხასიათმა რეალური პრობლემები ადვილად გადასატანი გახადა. ბავშვებიც სწორ დამოკიდებულებებს შეეჩვიენ, თუმცა საქმეში მამას მაინც არ აძლევენ მოსვენებას – ქალაქში რამე რომ არ მოეწონებათ, ფოტოებს უღებენ და უგზავნიან წარწერით: „გასაკეთებელია!“ უკვე გადალახეს ის პერიოდი, როცა მამის მისამართით გაჟღერებულ ცრუ ბრალდებებზე ნერვიულობდნენ. ახლა იციან, რომ პოლიტიკაში ზოგჯერ „წესების გარეშეც“ იბრძვიან. მშობლებისგან ისწავლეს, რომ „ასეთ დროს სიმშვიდე უნდა შეინარჩუნო. მთავარია საკუთარ თავთან და საქმესთან იყო მართალი!“

ნაბოლარა, დავით ხახალეიშვილი, 2008 წლის 25 სექტემბერს, გიორგი ჭყონდიდელის ხსენების დღეს დაიბადა. რადგან ოჯახში გიორგი უკვე ჰყავდათ, ჭყონდიდელის მოსწავლის – დავით აღმაშენებლის სახელი დაარქვეს. თუმცა, ამ სახელის შერჩევის მიზეზი მხოლოდ ეს არ იყო. კანდიდატის ალალი ბიძაშვილი იყო, ძიუდოში ოლიმპიური ჩემპიონი დავით ხახალეიშვილი. ბატონი სოსოს თქმით, მისთვის დიდი პატივია, რომ უმცროსი ვაჟი, ცნობილი სპორტსმენის სეხნიაა, თუმცა პატარა დავითმა საკუთარ გატაცებად ამ ეტაპზე ხელოვნება აირჩია, „სიმღერის აკადემიაში“ ჩააბარა და გალობას და ქართულ ფოლკლორს ეუფლება.

თავისუფალი დრო თითქმის არ რჩება. თუ გამონახა, ოჯახის წევრების გარემოცვაში ატარებს. ამბობს, რომ ოჯახი მისი საბუდარაა. აქვთ საკუთარი, ტრადიციები, რომელსაც წლებია ერთგულობენ დიდებიც და პატარებიც. ერთად დადიან ქალაქგარეთ, თეატრში სპექტაკლებზე, ფესტივალებზე, გამოფენებზე, ყველგან და რაც მთავარია, კვირაობით, აუცილებლად ადიან ბაგრატის ტაძარში, სადაც სულიერი მოძღვარი, მამა გიორგი ეგულებათ. მოძღვართან პოლიტიკურ საკითხებს არასდროს განიხილავს, მაგრამ ზუსტად იცის და გრძნობს, რომ ისევ სწორ გზას ადგას, ისევ ქუთაისის მერობას აპირებს, რომ დაწყებული საქმე და პროექტები ბოლომდე მიიყვანოს, რომ ეიმედებოდეს და უყვარდეს მის თანაქალაქელებს, როგორც ქუთაისისთვის ერთგული და თავდადებული მერი.

ჯანმრთელობის დაცვა

„ქართული ოცნებისთვის“ უმთავრესი ღირებულება არის ადამიანი, ხოლო საქმიანობის უმნიშვნელოვანესი პრინციპი – ადამიანზე, მის ღირსებაზე, სიცოცხლესა და ჯანმრთელობაზე ზრუნვა. ხარისხიანი და საყოველთაოდ ხელმისაწვდომი, სოციალური სამართლიანობის პრინციპზე დაფუძნებული ჯანმრთელობის დაცვის სისტემის შენარჩუნება და შემდგომი განვითარება „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტია.

2012 წლის შემდეგ უპრეცედენტოდ, 4,5-ჯერ გაიზარდა ჯანდაცვის დაფინანსება.

2013 წელს **საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის** ამოქმედებით, „ქართულმა ოცნებამ“ საფუძველი ჩაუყარა ჯანდაცვის ხარისხიან სერვისებზე უნივერსალურ ხელმისაწვდომობას. 2017 წლიდან განისაზღვრა ბენეფიციარების შემოსავლების მიხედვით დიფერენციაციის ახალი კრიტერიუმები. შედეგად, 40%-დან 99.9%-მდე გაიზარდა მოსახლეობის სერვისებით მოცვა, დაფინანსდა 8,6 მლნ-ზე მეტი შემთხვევა (2,8 მლნ ბენეფიციარი), რაზეც 4,6 მლრდ ლარზე მეტი გამოიყო. 2013-2020 წლებში,

საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით ქუთაისის მუნიციპალიტეტზე გამოყოფილი 186 956 334 ლარით დაფინანსდა 346 676 შემთხვევა, მათ შორის: **გეგმური ამბულატორიული** (30 379 750,5 ლარით 1 497 158 ბენეფიციარი), **გადაუდებელი ამბულატორიული** (14 690 323 ლარით 199 437 შემთხვევა), **გადაუდებელი სტაციონარული** (113 450 325 ლარით 75 567 შემთხვევა), **გეგმური ქირურგიული** (28 768 890 ლარით 28 302 შემთხვევა), **მშობიარობა და საკეისრო კვეთა** (7 970 503 ლარით 13 125 შემთხვევა) და **ქიმიო, ჰორმონო და სხივური თერაპია** (10 304 716 ლარით 19 725 შემთხვევა). გაიზარდა ონკოლოგიური პაციენტების ქიმიოთერაპია/სხივური თერაპიის კომპონენტში არსებული ლიმიტი 8 000 ლარის ოდენობით. **ქრონიკული დაავადების მქონე მოწყვლადი ჯგუფებისთვის მედიკამენტებზე ხელმისაწვდომობის პროგრამა** ამოქმედდა სოციალურად დაუცველი პირების (სარეიტინგო ქულა 100 ათასამდე), საპენსიო ასაკის მოქალაქეებისა და შშმ ბავშვებისთვის, ვეტერანებისა და გამყოფი ხაზის სოფლების მოსახლეობისთვის. 2017-2021 წლებში (ივლისის მდგომ.), პროგრამით ქუთაისის მუნიციპალიტეტში დაფინანსდა 19 233 ბენეფიციარი (1 255 635 ლარი). 2012 წლის შემდეგ, 3,4-ჯერ – 29,0 მილიონიდან 100,7 მილიონ ლარამდე გაიზარდა სახელმწიფო ბიუჯეტიდან **საზოგადოებრივი ჯანდაცვის დაფინანსება,** მათ შორის, უპრეცედენტოდ, 7-ჯერ გაიზარდა **იმუნიზაციის პროგრამის ბიუჯეტი** (24.1 მლნ ლარი შეადგინა). სახელმწიფო უზრუნველყოფს 13 დაავადების პრევენციას, წარმატებით დაინერგა 5 ახალი ვაქცინა. **ქუთაისის მუნიციპალიტეტში** იმუნიზაციით მიზნობრივი ჯგუფის მოცვის მაჩვენებელი 87,4% შეადგენს. **ტუბერკულოზის ეროვნული პროგრამით** განხორციელებული ღონისძიებების შედეგად,. უკანასკნელ წლებში შემცირდა ტუბერკულოზის გავრცელება – 2013 წლის შემდეგ, **ქუთაისში**, სტაციონარული მკურნალობით 591-მა (2 061 435 ლარი), ამბულატორიული მომსახურებით – 7 162-მა პაციენტმა (721 995 ლარი) ისარგებლა. **დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის სფეროში** ხელისუფლების მხრიდან გატარებული თანმიმდევრული პოლიტიკის შედეგად, 2017 წელს დაფიქსირდა დედათა სიკვდილობის ყველაზე დაბალი მაჩვენებელი, წინა წლებთან შედარებით (13.1/100 000 ცოცხალშობილზე). 2018 წლიდან 8-მდე გაიზარდა ვიზიტების რაოდენობა ორსულთათვის. 2014 წლიდან ყველა ორსული უზრუნველყოფილია ფოლიუმის მჟავითა და რკინის პრეპარატით. 2013-2020 წლებში, **მუნიციპალიტეტში** ანტენატალური სერვისის მიმღებია 21 855 ორსული (1 174 119 ლარი), მედიკამენტებით უზრუნველყოფილი – 5 138.

2015 წლიდან საქართველოში, მსოფლიოში პირველად, დაიწყო **C ჰეპატიტის ელიმინაციის (აღმოფხვრის) პროგრამა** (21,7 მლნ ლარი). პროგრამა მოიცავს საქართველოს მოქალაქეებისათვის უფასო სკრინინგს, დაავადების დიაგნოსტიკასა და კომპანია „გილეადის“ დაფინანსებით C ჰეპატიტით დაავადებული პაციენტების უფასო მკურნალობას უახლესი თაობის ძვირადღირებული მედიკამენტებით. პროგრამის დაწყებიდან 2021 წლის 1 მაისამდე, გამოკვლეულია 2,3 მლნ ბენეფიციარი, მკურნალობაში ჩაერთო 74 ათასზე მეტი და დაასრულა 70 ათასზე მეტმა პირმა, მიღწეულია უპრეცედენტო შედეგი – სრულად განიკურნა დაავადებულთა 98,9%, გადარჩა 68 ათასი ადამიანის სიცოცხლე. საქართველო C-ჰეპატიტთან ბრძოლაში გლობალურ ლიდერადაა აღიარებული. **ქუთაისის მუნიციპალიტეტიდან** მკურნალობასა და სადიაგნოსტიკო კვლევებში ჩართული იყო 7 949 პირი (1 497 761 ლარი).

2012 წლის შემდეგ, **ქუთაისის მუნიციპალიტეტის** მოსახლეობისათვის მნიშვნელოვნად გაიზარდა **სამედიცინო მომსახურების დაფინანსება პრიორიტეტულ სფეროებში,** მათ შორის: ფსიქიკური ჯანმრთელობის, დიაბეტის მართვის, დიალიზის და თირკმლის ტრანსპლანტაციის, იშვიათი დაავადებების მქონე და მუდმივ ჩანაცვლებით მკურნალობას დაქვემდებარებულ პაციენტთა მკურნალობის, პირველადი და გადაუდებელი სამედიცინო დახმარების უზრუნველყოფის, რეფერალური მომსახურების პროგრამების დაფინანსება. **რეფერალური მომსახურების პროგრამის განვითარების შედეგად,** გაიზარდა სტიქიური უბედურებების, კატასტროფების, საგანგებო სიტუაციების, კონფლიქტურ რეგიონებში დაზარალებულ მოქალაქეთა და საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრული სხვა შემთხვევების დროს მოსახლეობის სამედიცინო დახმარების მიწოდება. **ქუთაისში,** 2013-2021 წლებში, სულ 2 143 შემთხვევა 4 361 826 ლარით დაფინანსდა.

2013 წელთან შედარებით გაიზარდა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ჯანმრთელობის დაცვის სფეროს დაფინანსება. 2020 წელს ჯანმრთელობის დაცვის ხარჯებმა და არაფინანსური აქტივების ზრდამ 1243,3 ათასი ლარი შეადგინა, 2013 წლის შესაბამისი მაჩვენებელი კი 874,4 ათასი ლარი იყო.

მუნიციპალიტეტი, ჯანდაცვის სფეროში, ახორციელებს არაერთ პროგრამას, მათ შორის: სამედიცინო დახმარების პროგრამა (მძიმე, სიცოცხლისათვის საშიში დაავადების მქონე და განსაკუთრებული შემთხვევის შედეგად დაავადებული გადახდისუუნარო პირების სამედიცინო მომსახურების ანაზღაურება), მედიკამენტებით უზრუნველყოფის პროგრამა, ქ. ქუთაისში მცხოვრებ ეპილეფსიით დაავადებულთა მკურნალობისა და დაწყებითი კლასის მოსწავლეთა პროფილაქტიკური გამოკვლევების პროგრამა, ეპილეფსიით დაავადებულ პირთა ანტიკონვულსანტებით უზრუნველყოფის პროგრამა; აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა რეაბილიტაციის პროგრამა; ადრეული ძუძუს აგრესიული HER-2 რეცეპტორ დადებითი დიაგნოზის მქონე პირების მედიკამენტით დახმარების პროგრამა.

ხარისხიანი და ხელმისაწვდომი სამედიცინო მომსახურების უზრუნველსაყოფად:

- გაიზრდება მოსახლეობის ხელმისაწვდომობა ჯანმრთელობის დაცვის ხარისხიან სერვისებსა და სამკურნალო საშუალებებზე;
- გაიზრდება ჯანმრთელობის დაცვის სფეროში დასაქმებული პერსონალის შრომის ანაზღაურება და უწყვეტ განათლებაზე ხელმისაწვდომობა;
- საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით, კვლავ უზრუნველყოფილი იქნება სამედიცინო სერვისების ფინანსური და გეოგრაფიული ხელმისაწვდომობა, მიზნობრივი ჯგუფები უზრუნველყოფილი იქნებიან შესაბამისი სამედიცინო მომსახურებით და სამკურნალო მედიკამენტებით;
- განხორციელდება ეფექტიანი სახელმწიფო პროგრამები საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და პრიორიტეტულ სფეროებში მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის სამედიცინო მომსახურების მისაწოდებლად;
- გაიზრდება ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების მიზნობრიობა და ეფექტიანობა ადგილობრივი ხელისუფლების ჩართულობით;
- განხორციელდება ჯანდაცვის სფეროს უმთავრესი პრიორიტეტის – პირველადი ჯანდაცვის სისტემის რეფორმის მომდევნო ეტაპი. გაიზრდება სისტემის „მეკარიბჭის“ ფუნქცია – უზრუნველყოფილი იქნება მოსახლეობის ავადობის ადრეული გამოვლენა და შეკავება;
- გაიზრდება მუნიციპალიტეტის მხრიდან ჯანმრთელობის დაცვის სფეროს დაფინანსება;
- დაიხვეწება და გაფართოვდება ჯანმრთელობის დაცვის მუნიციპალური პროგრამები;
- საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველსაყოფად, მუნიციპალიტეტი განახორციელებს ქმედით ღონისძიებებს და პრევენციული ღონისძიებების გატარებით, ხელს შეუწყობს მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას;
- მუნიციპალიტეტი ხელს შეუწყობს დაავადებულთა სასიცოცხლო მნიშვნელობის მკურნალობის ჩატარებას;
- მუნიციპალიტეტი განახორციელებს მის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის ჯანმრთელობაზე მეთვალყურეობას და ჯანმრთელობის რისკებისა და საგანგებო სიტუაციების ქმედით მონიტორინგს და მათზე რეაგირებას.

სოციალური დაცვა

2012 წლის შემდეგ, 2,7-ჯერ – 1,7 მილიარდიდან 4,7 მილიარდ ლარამდე გაიზარდა სოციალური დაცვის სფეროს დაფინანსება.

2012 წლის შემდეგ, ეტაპობრივად გაიზარდა სახელმწიფო პენსიის ოდენობები: 2012 წლისათვის **საპენსიო ასაკის პირთა პენსია** 100 ლარი იყო, 2020 წლის იანვრიდან 2,2-ჯერ მეტი – 220 ლარი, **70 წლის და მეტი ასაკის მოქალაქეთა პენსია** – 250 ლარი; 2021 წლიდან პენსიის ოდენობა 240 ლარით განისაზღვრა, 70 წელს გადაცილებულთა კი – 275 ლარით. 2016 წლიდან განისაზღვრა პენსიის დანამატი **მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები მოქალაქეებისათვის**, რაც შეადგენს ასაკით პენსიის ოდენობის 20%-ს (264 ლარის ნაცვლად 288 ლარი, ხოლო მთაში მცხოვრები 70 წლის და მეტი ასაკის პენსიონერი – 330 ლარი). დანამატს იღებენ მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები სოციალური პაკეტის მიმღები პირები (დანამატი – სოციალური პაკეტის 20%). 2017 წლის იანვრიდან გათვალისწინებულია მაღალმთიანი აბონენტის (საყოფაცხოვრებო მომხმარებლის) მიერ მაღალმთიან დასახლებაში მოხმარებული ელენერგიის ყოველთვიური საფასურის 50%-ის ანაზღაურება (არა უმეტეს 100 კვტ/სთ). **ქუთაისის მუნიციპალიტეტში** სახელმწიფო კომპენსაციის მიმღები (01.04.2021 წ. მდგომარ.) 1146 პირია. 2012 წლის შემდეგ, 3,8-ჯერ, 1 609 223-დან 6 054 138 ლარამდე გაიზარდა სახელმწიფო კომპენსაციებზე გაწეული ხარჯი. 2013-2021 წლებში სულ 41 654 676 ლარი შეადგინა. **მოსახლეობის მიზნობრივი ჯგუფების სოციალური დახმარების პროგრამის ფარგლებში,** სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებული, სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი ოჯახები უზრუნველყოფილნი არიან მიზნობრივი სოციალური დახმარებით – საარსებო შემწეობით. პროგრამით ასევე გაიცემა: ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის, ახალშობილის შვილადაყვანის გამო დახმარების, ლტოლვილთა და დევნილთათვის შემწეობების, შრომითი მოვალეობის შესრულებისას მიყენებული ზიანის ანაზღაურება და სხვ. **ქუთაისის მუნიციპალიტეტში,** სოციალური დახმარებით უზრუნველყოფილი სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი 2718 ოჯახია (01.04.2021 წ. მდგომ.). 2012 წლის შემდეგ 1,1-ჯერ, 4 491 ათასიდან 4 963 ათას ლარამდე (2020 წ. მონაც.) გაიზარდა საარსებო შემწეობებზე გაწეული ხარჯი. 2013-2021 წლებში, საარსებო შემწეობაზე სულ დაიხარჯა 46 676 ათასი ლარი, მათ შორის, პენსიონრებზე – 13 277 ათასი, შშმ პირებზე – 6 653 ათასი, ბავშვებზე – 14 660 ათასი ლარი. **შშმ პირები, მარჩენალდაკარგულები და სხვა სოციალურ კატეგორიებს მიკუთვნებულ პირთა წრე** ყოველთვიურად უზრუნველყოფილია სოციალური პაკეტით – **ქუთაისში,** სოციალური პაკეტით სარგებლობს 8 745 მიზნობრივი ჯგუფი (01.04.2021 წ. მდგომ.), 2012 წლის შემდეგ, გაწეული ხარჯი 6-ჯერ – 2 589 872 ლარიდან 15 317 836 ლარამდე (2020 წ. მონაც.) გაიზარდა. 2013-2021 წლებში (01.04.2021 წ. მდგომ.) სულ დაიხარჯა 99 319 785 ლარი.

ქუთაისის მუნიციპალიტეტში 11 140 დევნილია (01.04.2021 წ. მდგომ.). 2012 წლის შემდეგ, 3 321 648-დან 6 079 41 ლარამდე (2020 წ. მდგომ) გაიზარდა შემწეობებზე გაწეული ხარჯი. 2013-2021 წლებში სულ დაიხარჯა 44 408 208 ლარი. **დევნილებზე ზრუნვა,** მათი განსახლება და სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესება სახელმწიფოს ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტია. 2013 წლიდან, განსახლების კრიტერიუმების შესაბამისად, დევნილებს ახალაშენებულ კორპუსებში ბინები და სოფლად სახლები გადაეცემათ. 2013 წლიდან (07.2021 წ. მონაც.), საქართველოს მასშტაბით, განსახლების პროგრამებით, საცხოვრებელი ფართი 23 068-მდე დევნილ ოჯახს გადაეცა, მათგან **ქუთაისში** დაკმაყოფილდა 1315 დევნილი ოჯახი, მათ შორის: 1 108

დევნილ ოჯახს გადაეცა ბინა ახალაშენებულ და რეაბილიტირებულ კორპუსებში, პროექტით „სოფლად სახლი“ სახელმწიფომ სახლი 153 ოჯახს შეუსყიდა,; სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ფართი 627 ოჯახს დაუკანონდა. ქვეყნის მასშტაბით, მიმდინარე წლის ბოლომდე, დამატებით 1 359 დევნილი ოჯახი განსახლდება. საქართველოს მასშტაბით, 2021 წლის ბოლომდე, დამატებით, 1 359 დევნილი ოჯახი განსახლდება. ასევე გრძელვადიანი საცხოვრებლით სახელმწიფომ, საქართველოს მასშტაბით, 1997 **ეკომიგრანტი ოჯახი** დააკმაყოფილა: 2013-2021 წ.წ. 667 ოჯახს დაუკანონდა საცხოვრებლი ფართი და მიწის ნაკვეთი, 386 დაკანონების პროცესშია. **დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობის პროგრამით** (მესამე და მომდევნო ბავშვი) **ქუთაისში,** დაფინანსებულია 836 ბენეფიციარი (1.04,2021 წ. მდგომ.), 2014-2021 წლებში, სულ დაიხარჯა 8 864 480 ლარი, მათ შორის, 2020 წელს – 1 494 900 ლარი.

ახალი კორონავირუსის გლობალურ გამოწვევასთან სწრაფად და ეფექტიანად გამკლავების მიზნით, სოციალური დაცვის მიმართულებით გატარდა მნიშვნელოვანი ღონისძიებები, კერძოდ: სახელმწიფო გასაცემლების უწყვეტად გაცემა, შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის იურიდიული ძალის შენარჩუნება და სოციალური პაკეტის უწყვეტად გაგრძელება, იანვრიდან შეჩერებული საარსებო შემწეობების განახლება და სხვ. **ახალი კორონავირუსით გამოწვეული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესების გამო, მოსახლეობის სოციალური დახმარების მიზნით,** 2020-2021 წ.წ, სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოიყო 193 014 865 ლარი, აქედან ქუთაისის მუნიციპალიტეტზე – 5 485 255 ლარი.

სახელმწიფო დახმარების მიღების უფლება 6 თვის ვადით მოიპოვეს: სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებულმა (65001-100000 ქულა) ოჯახებმა, წევრთა რაოდენობის შესაბამისად **(1-წევრიანი – 70 ლ; 2-წევრიანი – 90 ლ; 3 და მეტი წევრი, თითოეულზე – 35 ლ).** პროგრამაში, 2020 წელს ქუთაისის მუნიციპალიტეტში ჩართული იყო 1578 ოჯახი, 2021 წლის ივლისის მდგომარეობით – 1707. **ყოველთვიური დახმარება (თვეში 100 ლარი)** განისაზღვრა სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებული 100 000-მდე სარეიტინგო ქულის მქონე ოჯახებისთვისაც, რომელთაც ჰყავთ 3 ან მეტი 16 წლის ჩათვლით ასაკის შვილი. პროგრამით **ქუთაისის მუნიციპალიტეტში,** 2020 წელს ისარგებლა 399-მა ოჯახმა, 2021 წელს – 449-მა (06.2021 წ. მონაც.). **მკვეთრად გამოხატული შშმ პირები და 18 წლამდე შშმ ბავშვებისთვის,** სოციალური პაკეტის დახმარებასთან ერთად, დამატებით 100 ლარი (6 თვით) – პროგრამაში, ქუთაისში, 2020 წელს ჩაერთო 2528 ოჯახი, 2021 წელს – 2569 (06.2021 წ. მონაც.).

„ახალი კორონავირუსით (SARS-COV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID-19) შედეგად მიყენებული ზიანის შემსუბუქების მიზნობრივი სახელმწიფო პროგრამით, დასაქმების სახელწიფო სააგენტო კომპენსაციებს გასცემს იმ დასაქმებულ/თვითდასაქმებულთათვის, ვინც პანდემიის შედეგად სამსახური ან შემოსავალი დაკარგა. **დაქირავებით დასაქმებულებისთვის კომპენსაციის ოდენობა თვეში 200 ლარი 6 თვით,** გაიცა ორ ეტაპად: I ეტაპი -2020 წლის მაისიდან დაიწყო და 162 271-მა პირმა მიიღო 131 237 800 ლარი; II ეტაპი – 2021 წლის იანვრიდან 157 638-მა პირმა მიიღო 141 947 400 ლარი. **ერთჯერადი 300-ლარიანი კომპენსაცია** მიიღო 248 867-მა **ფორმალურმა/არაფორმალურმა თვითდასაქმებულმა,** ჯამში, 74 660 000 ლარი. 2020 წლის 4 დეკემბრიდან ერთჯერადი, 300-ლარიანი კომპენსაციები გაიცა იმ პირებზე, **ვისაც შეეხო შეზღუდვები, დაკარგეს შემოსავალი ან შეუჩერდათ ეკონომიკური საქმიანობა** (121 634 პირზე ჯამში 36 490 200 ლარი). **დაქირავებით დასაქმებულებისთვის, რომლებმაც დაკარგეს სამსახური ან იყვნენ უხელფასო შვებულებაში,** დაწესდა ფინანსური დახმარება 1200-ლარიანი კომპენსაციით (6 თვე, თვეში – 200 ლ). ახალი კორონავირუსით გამოწვეული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესების გამო, სოციალური დახმარების მიზნით, კომპენსაცია ჯამში მიიღო: 2020 წელს – 162 271-მა პირმა (131 237 800 ლ), 2021 წელს – ჯამში გაიცა 141 909 200 ლარის კომპენსაცია.

2013 წელთან შედარებით 2-ჯერ გაიზარდა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან სოციალური დაცვის სფეროს დაფინანსება. 2020 წელს სოციალური დაცვის ხარჯებმა და არაფინანსური აქტივების ზრდამ 3333,7 ათასი ლარი შეადგინა, 2013 წლის შესაბამისი მაჩვენებელი 1665,7 ათასი ლარი იყო.

მუნიციპალიტეტი, 2012-2021 წლებში, სოციალური დაცვის სფეროში, 30-მდე პროგრამას ახორციელებს, მათ შორის: უფასო კვების პროგრამა, მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების პროგრამა, განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირთა თანადგომის პროგრამა და სხვ. 2020 წელს მათ დაემატა ახალი სოციალური პროგრამები: მარტოხელა მშობელთა დახმარების, ოჯახური ძალადობის მსხვერპლთა დახმარებისა და საქართველოს SOS ბავშვთა სოფლის დახმარების ქვეპროგრამები. **იმავე წელს, მუნიციპალური საქალაქო ტრანსპორტით უფასო და 50% შეღავათიანი ტარიფით სარგებლობის უფლება მიეცათ შემდეგი სოციალური კატეგორიის მოქალაქეებს:** შშმ პირებსა და გადაადგილებისას მათთან ერთად მყოფ დამხმარეს; ომის ვეტერანებს, მათთან გათანაბრებულ პირებსა და სამხედრო ძალებს; აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე პირებსა და მათთან მყოფ დამხმარეს, ქ. ქუთაისის „მადლიერების სახლის“ ბენეფიციარებს; მრავალშვილიან და მარტოხელა დედებს; სოციალურად დაუცველ ოჯახებს (სარეიტინგო ქულა 65 000-მდე); **50 %-იანი ფასდაკლებით სარგებლობის უფლება მიეცათ:** ქ. ქუთაისის ბაგა-ბაღების გაერთიანების საბავშვო ბაგა-ბაღების თანამშრომლებსა და ავტორიზებული უმაღლესი, ასევე პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტებს.

სამართლიანი, გამჭვირვალე და ეფექტიანი სოციალური დაცვის სისტემის ფუნქციონირების, მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის შემდგომი გაუმჯობესებისა და დასაქმების უზრუნველყოფის მიზნით:

- შეიქმნება მდგრადი, ეფექტიანი, კოორდინირებული სოციალური დაცვის სისტემის საკანონმდებლო გარანტიები;
- გაუმჯობესდება სოციალური დაცვის მექანიზმები, ყოველი მოქალაქის სხვადასხვა სოციალური რისკებისაგან დაცვის მიზნით;
- გაუმჯობესდება დასაქმებისა და სოციალური გასაცემლების სისტემა;
- გაიზრდება სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამების ხარისხი და ხელმისაწვდომობა მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად;
- გაიზრდება სოციალური სერვისების გეოგრაფიული ხელმისაწვდომობა;
- გაგრძელდება მუნიციპალიტეტის საპენსიო ასაკის პირთა პენსიით უზრუნველყოფა კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად, რაც ითვალისწინებს სახელმწიფო პენსიის ინდექსაციას და უზრუნველყოფს საპენსიო ასაკის მოსახლეობისათვის სოციალური გარანტიების შექმნას;
- მუნიციპალიტეტის სოციალურად დაუცველი ოჯახები კვლავ უზრუნველყოფილი იქნებიან საარსებო შემწეობით;
- გაგრძელდება მიზნობრივი ჯგუფებისათვის სოციალური პაკეტის გაცემა;
- გაგრძელდება დემოგრაფიული მდგომარეობის ხელშემწყობი ღონისძიებების განხორციელება;
- გაიზრდება სოციალური დაცვის სახელმწიფო პროგრამების მიზნობრიობა და ეფექტიანობა ადგილობრივი ხელისუფლების ჩართულობით;
- განხორციელდება შრომის უსაფრთხოებისა და დასაქმების ეფექტიანი პოლიტიკა;
- შეიქმნება/დაიხვეწება და განვითარდება საქართველოში შრომითი მიგრაციის მარეგულირებელი კანონმდებლობა; გაჩნდება და დაიხვეწება შრომითი მიგრანტების (ემიგრანტები/იმიგრანტები) უფლებების დაცვის გამართული და ქმედითი მექანიზმები;
- გაგრძელდება ცირკულარული შრომითი მიგრაციის სფეროში გაფორმებული ხელშეკრულებების ფარგლებში საქართველოს მოქალაქეების საზღვარგარეთ დროებით ლეგალურად დასაქმების ხელშეწყობა.
- გაიზრდება მუნიციპალიტეტის მხრიდან სოციალური დაცვის სფეროს დაფინანსება;
- დაიხვეწება და გაფართოვდება სოციალური სფეროს მუნიციპალური პროგრამები.

განათლება

განათლების სისტემის განვითარება „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტია. 2012 წლის შემდეგ, საქართველოში განხორციელდა ფუნდამენტური სისტემური ცვლილებები მაღალი ხარისხის განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად. მათ შორის, შეიქმნა განათლების სისტემის ფინანსური მდგრადობის უზრუნველმყოფი საკანონმდებლო გარანტიები, დაიხვეწა ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სისტემის მარეგულირებელი კანონმდებლობა, დადგინდა და დაინერგა ძირითადი სტანდარტები.

განათლებისა და მეცნიერების სფეროში გადადგმული თითოეული ნაბიჯი გრძელვადიან პერსპექტივაზეა გათვლილი. ამის დასტურია ის, რომ **2012 წელთან შედარებით, მნიშვნელოვნად, 2,5-ჯერ გაიზარდა განათლებისა და მეცნიერების დაფინანსება. 4-ჯერ გაიზარდა სკოლამდელი განათლების, თითქმის 2-ჯერ – ზოგადი განათლების, 5,3-ჯერ – პროფესიული განათლების და 2-ჯერ – უმაღლესი განათლების ბიუჯეტი. მასწავლებლის საბაზო ხელფასის ზრდამ – 65%, ხოლო საშუალო ხელფასის – 120%-შეადგინა. 600 000-მდე მოსწავლე უზრუნველყოფილია სასკოლო სახელმძღვანელოებით.** 2019 წლის 1 ოქტომბრიდან დაიწყო საჯარო სკოლებისა და საბავშვო ბაღების პედაგოგთა ხელფასების ზრდა და ეს პროცესი მომდევნო წლებშიც გაგრძელდება.

2013-2020 წლებში, საქართველოში, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებათა **მშენებლობა-რეაბლიტაციისა და აღჭურვის** მიზნით 427 მლნ 789,3 ათასი ლარი დაიხარჯა. მათ შორის, 2017-2020 წლებში – 289 მლნ 137,8 ათასი ლარი.

2012-2020 წ. წ. დასრულებულია 68 ახალი საჯარო სკოლის მშენებლობა, ამ ეტაპზე მიმდინარეობს 4 ახალი საჯარო სკოლის მშენებლობა, დასრულებულია 140-მდე სკოლის **სრული რეაბილიტაცია**, მათ შორის „ათასწლეულის გამოწვევის ფონდი – საქართველოსა“ და სსიპ – საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ სრულად რეაბილიტირდა 91 საჯარო სკოლა, ნაწილობრივ სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩაუტარდა 1300-ზე მეტ საჯარო სკოლის შენობას.

2017-2020 წლებში დასრულებულია 42 საჯარო სკოლის (მათ შორის, 19 მცირეკონტინგენტიანი საჯარო სკოლა) სამშენებლო სამუშაოები და მიმდინარეობს 4 ახალი საჯარო სკოლის მშენებლობა, ამასთან, მიმდინარე წელს იგეგმება დამატებით 2 ახალი სკოლის მშენებლობის დაწყება. დასრულებულია 83 სკოლის სრული რეაბილიტაცია, მათ შორის „ათასწლეულის გამოწვევის ფონდი – საქართველოსა“ და სსიპ – საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ სრულად რეაბილიტირდა 41 საჯარო სკოლა, ნაწილობრივ სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩაუტარდა 500-ზე მეტ საჯარო სკოლის შენობას;

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დაფინანსებით, საჯარო სკოლებში ფუნქციონირებს **608 სამედიცინო** კაბინეტი (სკოლის ექიმი). საჯარო სკოლებში დასაქმებულია **145 ფსიქოლოგი**.

„ქართულმა ოცნებამ“ ფუნდამენტური ცვლილებები განახორციელა **პროფესიული განათლების** სისტემის განსავითარებლად. 2013 წლიდან დღემდე პროფესიული განათლების განვითარებისთვის სახელმწიფომ, ჯამში, 300 მილიონ ლარზე მეტი გამოყო, მათ შორის, პროფესიული კოლეჯების მშენებლობა/რეაბილიტაცია/აღჭურვის მიზნით დაიხარჯა 100 მლნ ლარზე მეტი. დაფუძნდა 8 ახალი პროფესიული დაწესებულება და არსებულ ქსელს დაემატა 16 ახალი ლოკაცია. ყველა სახელმწიფო კოლეჯს ჩაუტარდა სრული ან ნაწილობრივი რეაბილიტაცია, აშენდა 2 ახალი საერთო საცხოვრებელი. 10-ზე მეტ პროფესიულ დაწესებულებას ჩაუტარდა სრული რეაბილიტაცია, მათგან 4 კოლეჯში რეაბილიტაცია განხორციელდა უნივერსალური დიზაინის ნორვეგიული სტანდარტის შესაბამისად. 14 პროფესიულ დაწესებულებაში მოეწყო ინოვაციური ლაბორატორიები (FABLAB). 2021 წელს საკვალიფიკაციო ან/და მომზადება/გადამზადების პროგრამებზე სტუდენტს/მსმენელებს პირველად მიიღებენ ახლად განვითარებული კოლეჯები/ფილიალები კასპში, მარნეულში, დუშეთში, ჩოხატაურში (გორაბერეჟოული), ქედაში, ფოთსა და შუახევში. მიმდინარეობს დამატებით 5 პროფესიული დაწესებულების/ფილიალის სამშენებლო სამუშაოები, რომლებიც სამშენებლო და სატრანსპორტო მიმართულებებით საერთაშორისო სტანდარტების შესაბამის კადრებს მოამზადებენ. 2018 წელს დამტკიცდა ახალი კანონი „პროფესიული განათლების შესახებ“, რომელმაც შესაძლებელი გახადა ევროპულ საგანმანათლებლო სივრცესთან კიდევ უფრო მეტად დაახლოება. რეფორმის ფარგლებში, გაიზარდა ვაუჩერული დაფინანსება; ჩამოყალიბდა პროფესიული განათლების მართვის ახალი მოდელი, რომელიც კიდევ უფრო გააძლიერებს კერძო სექტორის ჩართულობას პროფესიულ განათლებაში; დაინერგა ინტეგრირებული პროგრამები, რომელთა გავლის შემდეგ საბაზო (9 კლასი) განათლების მქონე პირი სრული ზოგადი განათლების ატესტატთან გათანაბრებულ დიპლომს მიიღებს; შეიქმნა ზრდასრულთა მომზადება-გადამზადების შესაძლებლობა, რაც დააკმაყოფილებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს; გაძლიერდა ინკლუზიური პროფესიული განათლება და სხვ.

2012 წლის შემდეგ, 2,1-ჯერ, გაიზარდა **უმაღლესი განათლების** დაფინანსება. **უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისა და სტუდენტთა მხარდაჭერის მიზნით:** სახელმწიფო სასწავლო და სამაგისტრო გრანტებით ყოველწლიურად სრულად/ნაწილობრივ ფინანსდება 30 000-მდე სტუდენტი; გაიზარდა სოციალური პროგრამებისა და მაღალი აკადემიური მიღწევების მქონე სტუდენტთა მხარდაჭერის (სტიპენდიების) პროგრამის დაფინანსება; სოციალური პროგრამებით, ყოველწლიურად, ფინანსდებიან სტუდენტები უმაღლესი განათლების I-II საფეხურებზე (წლიური ბიუჯეტი 2 მლნ 725 ათასი ლარი); დაფინანსება გამოეყოფათ უცხო ქვეყნის მოქალაქეებს, რომლებიც საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლას აგრძელებენ ერთიანი ეროვნული/სამაგისტრო გამოცდების შედეგების საფუძველზე (წლიური ბიუჯეტი – 285 ათასი ლარი); სახელმწიფო აგრძელებს გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში დაზარალებული სტუდენტების სწავლის დაფინანსებას (პროგრამის ბიუჯეტი – 5 მლნ ლარი); გაიცემა სახელმწიფო სტიპენდიები წარმატებული სტუდენტებისთვის (პროგრამის ბიუჯეტი – 4,7 მლნ ლარი); დაფინანსებას მოიპოვებენ სტუდენტები, რომლებიც ოკუპირებულ ტერიტორიაზე მიღებული უმაღლესი განათლების აღიარების საფუძველზე სწავლას აგრძელებენ საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში (პროგრამის ბიუჯეტი – 20 ათასი ლარი); ყოველწლიურად ფინანსდება და, 2014-2019 წლებში, 800-ზე მეტი სასწავლო სტიპენდია გაიცა წარმატებული ახალგაზრდების მსოფლიოს წამყვან უნივერსიტეტებში სწავლისათვის. 2016 წლიდან ამოქმედდა და სახელმწიფოს მიერ სრულად ფინანსდება მასწავლებლის მომზადების 60-კრედიტიანი პროგრამები. 2019 წლიდან ამოქმედდა სკოლის შემდგომი განათლებისათვის მომზადების პროგრამა. პროგრამაზე ჩარიცხვის უფლებით, დადგენილი წესის შესაბამისად, სარგებლობენ ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები პირები, რომლებიც ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გარეშე ირიცხებიან საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში, სახელმწიფო აფინანსებს მათი სწავლის საფასურს. 2019 წლიდან მსჯავრდადებულებს, რომლებიც წარმატებით ჩააბარებენ ერთიან ეროვნულ/სამაგისტრო გამოცდებს, შესაძლებლობა აქვთ ისწავლონ შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამებზე.

2012 წლის შემდეგ, 80%-ით გაიზარდა სახელმწიფო ბიუჯეტით **მეცნიერებისა და სამეცნიერო კვლევების** ხელშეწყობის დაფინანსება. 2015 წლიდან სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების დაფინანსება 2-ჯერ, ხოლო მეცნიერთა ხელფასები, საშუალოდ, 3-ჯერ გაიზარდა. სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტებისათვის ამოქმედდა პროგრამული დაფინანსების მექანიზმი და სადღეისოდ ფინანსდება 47 კვლევითი ინსტიტუცია.

სკოლამდელი განათლება

2013 წლის შემდეგ გაიზარდა განათლების მიმართულების დაფინანსება. 2020 წელს, განათლების მიმართულებით ქ. ქუთაისი ხარჯებმა და არაფინანსური აქტივების ზრდამ 12 მლნ 272,8 ათასი ლარი შეადგინა, მათ შორის, 10 მლნ 512,2 ათასი – სკოლამდელი განათლების მიმართულებით. 2013 წელს კი შესაბამისი მაჩვენებელი 7 მლნ 681, 5 ათასი ლარი იყო.

ქუთაისში ფუნქციონირებს ა(ა)იპ ბაგა-ბაღების გაერთიანება, რომელიც ქალაქის **37** საბავშვო ბაღს აერთიანებს. 2021 წლის მონაცემებით, მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღებში, საერთო ჯამში, 8918 აღსაზრდელი დადის.

2012 წლის შემდეგ, **კვების თანხა** თითოეულ აღსაზრდელზე 210 ლარამდე გაიზარდა. **სასკოლო მზაობის** პროგრამა დანერგილია 88 სააღმზრდელო ჯგუფში, რომლებშიც ჩართულია სასკოლო ასაკის 2650 ბავშვი. საბავშვო ბაღებში 656 აღმზრდელი (მათგან 176 – სასკოლო მზაობის ჯგუფებში), 49 ექიმი/ექთანი და 51 ფსიქოლოგია დასაქმებული. 2012 წლის შემდეგ, აღმზრდელთა ხელფასები, ეტაპობრივად, 280-დან 530 ლარამდე გაიზარდა. ასევე, მუნიციპალური საქალაქო ტრანსპორტით 50%-იანი შეღავათიანი ტარიფით სარგებლობის უფლება მიეცათ ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის საზღვრებში განლაგებული საბავშვო ბაგა-ბაღების თანამშრომლებს.

2014-2021 წლებში, ქუთაისის მუნიციპალიტეტში საბავშვო ბაღების მშენებლობა-რეაბილიტაციის არაერთი პროექტი განხორციელდა. მათ შორის: 2014 წელს: ქ. ქუთაისში ახალი ბაგა-ბაღების კაპიტალურ მშენებლობას (4 საბავშვო ბაღი) 600 ათასი ლარი მოხმარდა. **2015** წელს ბაგა-ბაღების გაფართოებაზე (ახალი ფლიგელები მიშენება 4 საბავშვო ბაღში) 952,6 ათასი ლარი დაიხარჯა. **2016** წელს საბავშვო ბაღის ორი ახალი შენობის აშენებაზე 943, 5 ათასი ლარი დაიხარჯა; განხორციელდა საბავშვო ბაღების 37-ვე ფილიალის ცხელი წყლით სრულად უზრუნველყოფა. **2017 წელს** ბაგა-ბაღების მშენებლობასა და მიშენებებს 535,1 ათასი ლარი მოხმარდა. **2018 წელს** სრულად გადაიხურა 5 საბავშვო ბაღი. **2019 წელს** დასრულდა ჩკალოვის ქ. №3-ში მდებარე №33 და ბუხაიძის ქუჩის №7-ში მდებარე №15 საბავშვო ბაღებზე ახალი კორპუსების მიშენების სამუშაოები (471 ათასი ლარი). მიშენება გაუკეთდა №3 და №4 საბავშვო ბაგა-ბაღებსაც. დაკმაყოფილდა მოთხოვნა, უსაფრთხოების მიზნით გამათბობლების შენობების გარეთ გატანის შესახებ. **2020 წელს** საბავშვო ბაგა-ბაღებში სველი წერტილებისა და სამზარეულოების მოწყობის 11 პროექტი განხორციელდა (ჯამში, 827 ათასი ლარი).

ზოგადი განათლება

განათლების რეფორმის ფარგლებში, საპენსიო ასაკს მიღწეულმა მასწავლებლებმა, რომლებმაც ნებაყოფლობითი არჩევანის საფუძველზე პროფესიიდან გასვლა გადაწყვიტეს, 2019 წელს სახელმწიფოსგან ერთჯერადი ფულადი ჯილდო – ორი წლის ჯამური ხელფასი მიიღეს. ამ ფორმით გამოხატა სახელმწიფომ მადლიერება იმ მასწავლებლების მიმართ, რომლებმაც არაერთი თაობა აღზარდეს. რეფორმის შედეგად, ზოგადსაგანმანათლებლო სისტემაში ახალგაზრდა კვალიფიციური კადრები შემოვიდნენ. საქართველოს მასშტაბით, ფულად ჯილდოზე განაცხადი, ჯამში, საპენსიო ასაკის 8 870 მასწავლებელმა გააკეთა (ყველაზე მეტი მასწავლებელი იმერეთის რეგიონიდან, ხოლო ყველზე ნაკლები აფხაზეთიდან გავიდა).

ქუთაისის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სისტემის დაქვემდებარებაში მყოფი 38 საჯარო სკოლა. ქალაქის საჯარო სკოლებში 28861 მოსწავლე და 1847 პედაგოგია (მათ შორის 64 – სპეციალური მასწავლებელი). მულტიდისციპლინური გუნდის მიერ, 2020 წლის ივლისის მდგომარეობით, იდენტიფიცირებულია 399 სსსმ მოსწავლე. 25 სკოლაში ფუნქციონირებს ქიმიის კაბინეტი, სკოლებს 113 მანდატური, 15 ექიმი, 4 ფსიქოლოგი, 4 სოციალური მუშაკი და ერთი ფსიქიატრი ემსახურება. არაქართულენოვან სკოლებში ქართული ენის 1 დამხმარე მასწავლებელია დასაქმებული.

2013-2021 წლებში, ზოგადი განათლების სფეროში, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ, ქ. ქუთაისში განახორციელა სხვადასხვა პროგრამები, მათ შორის: 2017-2019 წლებში, **სასკოლო აქტივობების ხელშეწყობის პროგრამით**, 53 პროექტი დაფინანსდა. **ზოგადი განათლების რეფორმის ხელშეწყობის პროგრამით,** 2018-2019 წლებში, **ოპტიკური კავშირითა და მაღალსიჩქარიანი ინტერნეტით სკოლების უზრუნველყოფის** 79, **რადიოტექნოლოგიითა** და **გაუმჯობესებული კავშირის სიჩქარით აღჭურვის** 6 პროექტი განხორციელდა. კორპორატიული სტანდარტის უსადენო ქსელით ქუთაისის 20 სკოლაა უზრუნველყოფილი. **ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის ინსტრუმენტები** („ახალი სკოლის“ მოდელი) 2019 წელს, ქ. ქუთაისის 14 სკოლაში დაინერგა. 2020 – 2021 წ.წ. – 4 სკოლა დაემატა. **ოპერირებისა და მოვლა პატრონობის პროგრამა** („ათასწლეულის გამოწვევის კორპორაცია“) ხორციელდება 8 საჯარო

სკოლაში. **უწყვეტი განათლების** მიღების შესაძლებლობით, 2012-2020 წლებში, ქ. ქუთაისში, 173-მა ბრალდებულმა მოსწავლემ ისარგებლა. 2019 წელს, ქუთაისის 15 საჯარო სკოლას 325 ლეპტოპები გადაეცა. 2017-2020 წლებში საჯარო სკოლებზე გაიცა 4352 **სასკოლო ჟურნალი** და 627 339 **უფასო სახელმძღვანელო.** 2013– 2019 წლებში, 17 494 **პირველკლასელი,** 612 **კლასის დამრიგებელი** და 1046 **წარჩინებული მოსწავლე** კომპიუტერებით დასაჩუქრდა (მათ შორის: 2017-2019 წლებში, დასაჩუქრდა – 7817 პირველკლასელი, 246 კლასის დამრიგებელი და 583 წარჩინებული მოსწავლე). 2013-2019 წლებში, ქ. ქუთაისის საჯარო სკოლებში 1392 **ოქროსა და ვერცხლის მედალოსანი** გამოვლინდა (მათ შორის: 2018-2019 წ.წ. **–** 443 ოქროსა და 129 ვერცხლის მედალოსანი). 2013-2019 წლებში ქ. ქუთაისის საჯარო სკოლებში **მატერიალურ-ტექნიკური ბაზით,** სასკოლო ავეჯით, სპორტული ინვენტარითა და საბუნებისმეტყველო ლაბორატორიებით აღჭურვის 119 პროექტი განხორციელდა.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამით, 2013-2021 წლებში, ქ. ქუთაისის საჯარო სკოლებში სხვადასხვა სახის რეაბილიტაციის 114 პროექტი განხორციელდა – 25 საჯარო სკოლა ადაპტირებულია, 38 საჯარო სკოლა აღჭურვილია ცენტრალური გათბობით; ოპერირებისა და მოვლა-პატრონობის პროგრამაში ჩართულია ქ. ქუთაისის 8 საჯარო სკოლა. **2019 წელს** ქუთაისის 20 საჯარო სკოლის **ნაწილობრივ რეაბილიტაციას** 1 მლნ 820,1 ათასი ლარი მოხმარდა. ასევე, ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციის (MCC) დაფინანსებით განხორციელდა №5 საჯარო სკოლის ეზოს ტერიტორიის კეთილმოწყობა (146, 2 ათასი ლარი) და №13 საჯარო სკოლის რეაბილიტაცია (416, 8 ათასი ლარი). **სრული რეაბილიტაცია** ჩაუტარდა ქ. ქუთაისის 7 საჯარო სკოლას. იმავე წელს, ადგილობრივი მერიის მიერ განხორციელდა ნაწილობრივი რეაბილიტაციის 19 პროექტი, რაზეც ჯამში, დაიხარჯა 1 მილიონ 770,8 ათასი ლარი. **2020 წელს** ნაწილობრივი რეაბილიტაციის სამუშაოები ჩატარდა ქალაქის 7 სკოლაში (ჯამში, 474 ათასი ლარი).

ინფრასტრუქტურის სამინისტროს სკოლების სახელმწიფო პროგრამით, 2020 წელს, ქ. ქუთაისში, საჯარო სკოლების რეაბილიტაციის 9 პროექტი 613,6 ათასი ლარით დაფინანსდა. შიდასარემონტო სამუშაოები (მათ შორის, სველი წერტილების რეაბილიტაცია) განხორციელდა ქ. ქუთაისის 9 საჯარო სკოლაში, რაზეც, ჯამში, 613,6 ათასი ლარი დაიხარჯა. **2021 წელს –** ქ. ქუთაისის №1 საჯარო სკოლაში განხორციელდა იატაკების, ხოლო №3 სკოლაში გათბობის სისტემის რეაბილიტაცია; **მიმდინარეობს** საჯარო სკოლების მშენებლობა-რეაბილიტაციის 4 პროექტი (ქ. ქუთაისის №№ 8, 9, 22 და №23 საჯარო სკოლები), რასაც, ჯამში, 19 მლნ 38,2 ათასი ლარი მოხმარდება.

მუნიციპალური განვითარების ფონდის დაფინანსებით, მიმდინარეობს საჯარო სკოლების მშენებლობა-რეაბილიტაციის ხუთი პროექტი (ქ. ქუთაისის №№ 8, 9, 14, 23, 8, 9, 22, და №23 საჯარო სკოლები), რასაც, საერთო ჯამში, 21 მლნ 946,2 ათასი ლარი მოხმარდება. ქუთაისის №14 საჯარო სკოლას კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსი აქვს მინიჭებული (2 მლნ 908 ათასი ლარი).

MCC – ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციის დაფინანსებით, მიმდინარეობს 8 სარეაბილიტაციო პროექტი: ქ. ქუთაისის №36 (85, 4 ათასი ლარი), №10 (74, 2 ათასი ლარი), №13 (78, 2 ათასი ლარი), №33 (83, 5 ათასი ლარი), №30 (64, 2 ათასი ლარი), №32 (55, 4 ათასი ლარი), №17 (68, 3 ათასი ლარი) და №5 (28, 5 ათასი ლარი) საჯარო სკოლებში.

პროფესიული განათლება

ქუთაისში პროფესიულ-საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებაზე ავტორიზაცია მოპოვებული აქვს 3 საჯარო (1 კოლეჯი, 2 უნივერსიტეტი) და 2 კერძო დაწესებულებას. მათ შორისაა სს(ი)პ კოლეჯი „იბერია“, რომელიც 2006 წელს, „მოდელირებისა და კერვის ლიცეუმის“ ბაზაზე დაარსდა. 2007 წელს სასწავლო დაწესებულების შენობამ სრული რეაბილიტაცია გაიარა და თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად აღიჭურვა. 2016-2021 წლებში, კოლეჯში 54 პროფესიულ-საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება (მათ შორის 32 საგნობრივი, 21 მოდულური და 1 – დუალური). 2019 წლიდან, საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, საგნობრივ პროგრამებზე სტუდენტთა მიღება აღარ ხორციელდება. 2021 წელს კოლეჯმა, პროფესიულ-საგანმანათლებლო პროგრამების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით, მოიპოვა 6 პროფესიული საგანმანათლებლო მოდულური პროგრამის (კომპეტენციებზე დაფუძნებულ სწავლება) განხორციელების უფლება: სამკერვალო წარმოება და თმის მომსახურება (ქუთაისსა და ბაღდათის ფილიალში), ხის მხატვრული დამუშავება და სასტუმრო მომსახურების პროგრამა (ინტეგრირებული და არაინტეგრირებული მიდგომით). კოლეჯში სწავლებას სახელმწიფო სრულად აფინანსებს. ასევე სრულიად უფასოა, თანამედროვე სტანდარტებით მოწყობილ საერთო საცხოვრებელში ცხოვრება სწავლების კურსის დასრულებამდე. „იბერია“ აღჭურვილია თანამედროვე სტანდარტების მანქანა-დანადგარებითა და მოწყობილობებით. დაკომპლექტებულია მაღალკვალიფიციური მასწავლებლებით. **„იბერიაში“ 2016 წლიდან მოწყობილია ინოვაციური ლაბორატორია. 2013-2020 წლებში კოლეჯის მიზნობრივი პროგრამები სახელმწიფომ 16 მლნ 304, 7 ათასი ლარით დააფინანსა.** 2017-2019 წლებში, ქუთაისის სკოლებში, პროფესიული უნარების კურსების/გაკვეთილების დანერგვის 86 პროგრამა განხორციელდა. 2013-2019 წლებში, პროფესიული მომზადება-გადამზადების პროგრამებში, ჯამში, 609 პატიმარი იყო ჩართული, 2017-2021 წლებში – 338 პატიმარი. **2016-2020 წლებში,** განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მხარდაჭერით, განხორციელდა სსიპ კოლეჯ „იბერიის“ სტუდენტთა საერთო საცხოვრებლის სრული რეაბილიტაცია (ჯამში, 1 მლნ 229 ათასი ლარი), 3,9 ათასი ლარით დაფინანსდა გაზიფიცირების პროექტი და შშმ პირთათვის სპეციალური ამწის მონტაჟი (82, 6 ათასი ლარი). კოლეჯის ძირითადი კორპუსისა და გარე სახელოსნოების სრულ რეაბილიტაციაზე, ჯამში, 1 მლნ 748,1 ათასი ლარი დაიხარჯა.

უმაღლესი განათლება

2021 წლის მდგომარეობით, ქ. ქუთაისში ფუნქციონირებს 4 ავტორიზებული უმაღლესი სასწავლებელი – აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერისტეტი, ქუთაისის უნივერსიტეტი, გელათის სასულიერო აკადემია და სემინარია და ქუთაისის საერთაშორისო უნივერისიტეტი.

2021 წლისთვის **აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში** 102 საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება, ქუთაისის უნივერსიტეტში – 6, გელათის სასულიერო აკადემიასა და სემინარიაში – 3, ხოლო ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტში, რომელმაც სტუდენტთა მიღება მიმდინარე სასწავლო წელს დაიწყო, ხელმისაწვდომია ჯერჯერობით, 3 საბაკალავრო პროგრამა.

2020 წელს – ქუთაისის უნივერსიტეტში დუალური მიდგომის 32 პროგრამა განხორციელდა, მათ შორის 11 საგნობრივი და 21 მოდულური. **2013-2020 წლებში** უნივერსიტეტის სხვადასხვა კორპუსებში გაწეულ ინფრასტრუქტურულ სამუშაოებზე, ჯამში, 4 მლნ 686,4 ათასი ლარი დაიხარჯა. სოციალური პროგრამით, 2020-2021 ს/წ დაფინანსდა 44 სტუდენტი (ბაკალავრი) და 6 სტუდენტი (მაგისტრი) გამყოფი ხაზის პროგრამით დაფინანსდა – 6 სტუდენტი.

ფონდი „ქართუ“ ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის (KIU) პროექტის განვითარებაში 1 მილიარდ ევროზე მეტი თანხის ინვესტირებას ახორციელებს. KIU თანამშრომლობს ევროპის წამყვან მიუნხენის ტექნიკურ უნივერსიტეტთან (TUM International GmbH-თან და TUM-თან). KIU-ს საოპერაციო მოდელი შემუშავებულია TUM და TUM International GmbH-სთან პარტნიორობით. 2020-2021 აკადემიური წლისთვის KIU-მ სტუდენტები 3 აკადემიურ პროგრამაზე (მენეჯმენტი, მათემატიკა და კომპიუტერული მეცნიერებები) მიიღო, რომლებიც შემუშავდა TUM International-თან თანამშრომლობით. KIU სტუდენტებს შესთავაზებს პროფესიულ, საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებს, ასევე კვლევის შესაძლებლობებს. KIU სტუდენტებს სთავაზობს უნივერსიტეტის კამპუსში განთავსებულ სტუდენტურ საცხოვრებელში ცხოვრებას.

ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის მიზანია არა მხოლოდ თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტების განათლების ცენტრის შექმნა საქართველოში, არამედ უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდა ახალგაზრდებში. უნივერსიტეტი დააფინანსებს ყველა ახალგაზრდას, ვინც შეძლებს, ერთიანი ეროვნული გამოცდების საშუალებით დაადასტუროს კომპეტენცია და მოიპოვოს სტუდენტის სტატუსი. დაფინანსება მოიცავს არა მხოლოდ სწავლის გადასახადს, არამედ საუნივერსიტეტო ქალაქის ტერიტორიაზე ცხოვრების საფასურს, სტუდენტურ სტიპენდიასა და კვების ბარათს. დაფინანსების მოპოვება შესაძლებელია როგორც სოციალური, ასევე აკადემიური მიღწევების პროგრამებით. 2020-2021 სასწავლო წლისთვის, სოციალური პროგრამით დაფინანსდა 8 სტუდენტი (ბაკალავრი), გამყოფი ხაზის პროგრამით – 1 სტუდენტი.

უნივერსიტეტი სრულად აფინანსებს სტუდენტებს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში დაღუპულთა და უგზო-უკვლოდ დაკარგულთა შვილებს, შშმ პირებს, ახალგაზრდებს მრავალშვილიანი და სოციალურად დაუცველი ოჯახებიდან. სტუდენტური გრანტები ფინანსურად სრულად არის უზრუნველყოფილი ფონდი „ქართუს“ მიერ. 2020-2021 ს/წლის განმავლობაში ჯამური ბიუჯეტი 1.5 მლნ ლარია.

უნივერსიტეტის მიერ მოპოვებული მაღალი ნდობის ნიშანია, რომ ქუთაისის საუნივერსიტეტო კამპუსის ტერიტორიაზე გაიხსნება მიუნხენის საერთაშორისო უნივერსიტეტის წარმომადგენლობა (TUM International Georgia office), რომელიც უნივერსიტეტს დაეხმარება, ერთი მხრივ, დარგის წამყვანი ექსპერტების სასწავლო პროცესში ჩართვაში, მეორეს მხრივ კი უზრუნველყოფს ჩვენი ახალგაზრდებისთვის საერთაშორისო სტაჟირების, გაცვლითი პროგრამების მხარდაჭერასა და საერთაშორისო კომპანიებში დასაქმებას. თანამშრომლობაში ასევე ჩართულნი არიან ბელგიის, საფრანგეთის, იტალიის, ესპანეთის, იაპონიის, აშშ-ს წამყვანი უნივერსიტეტები და სამეცნიერო ცენტრები. უნივერსიტეტთან თანამშრომლობის სურვილი გამოთქვა რეინ-ვესტფალიის აახენის უნივერსიტეტმა. განსაკუთრებით აღსანიშნავია ქართულ-გერმანული სამეცნიერო ხიდის ხელშეკრულება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და გერმანიის იულიხის კვლევით ცენტრს შორის, რომელიც მოიცავს როგორც ფუნდამენტურ, ისე გამოყენებით დარგებს, მათ შორის, ატმოსფერულ, ბიოფიზიკის, მედიცინისა და სამედიცინო აპარატურის მიმართულებებს. ხელშეკრულება ქმნის ახალ შესაძლებლობებს ჩვენი სტუდენტებისათვის, ჩაერთონ საერთაშორისო სტაჟირების პროგრამებში და შეასრულონ თავიანთი პროექტები გერმანიის წამყვან სამეცნიერო ცენტრებში. **2020 წელი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი აღმოჩნდა ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის მეგაპროექტის – ადრონული თერაპიის ცენტრისთვისაც.** ხელი მოეწერა ხელშეკრულებას წამყვან საერთაშორისო კომპანიასთან IBA, რომლითაც გათვალისწინებულია უნივერსიტეტისთვის თანამედროვე ციკლოტრონის ტიპის 2 ამაჩქარებლის შეძენა: ერთი – სამეცნიერო კვლევების მხარდასაჭერად ფიზიკის, ბილოგიის, ქიმიისა და მედიცინის მიმართულებებით, მეორე ციკლოტრონის ბაზაზე კი დაარსდება პროტონული თერაპიის ცენტრი, რომელიც საქართველოს მოქალაქეებს კიბოს მკურნალობის უნიკალურ საშუალებებს შესთავაზებს.

განათლებისა და მეცნიერების მიმართულებით განხორციელდება:

- დაწესებულებებში ადრეული და სკოლამდელი განათლება დარჩება უფასო;
- განხორციელდება ენერგოეფექტური სისტემების დანერგვა და ყველა რეაბილიტაციას დაქვემდებარებული ბაგა-ბაღის შენობას ჩაუტარდება მიმდინარე შეკეთებითი სამუშაოები; **დაგეგმილია:** ქ. ქუთაისში, 180 აღსაზრდელზე გათვლილი, საბავშვო ბაღის მშენებლობა (2 მლნ 800 ათასი ლარი); საბავშვო ბაღებისთვის სათამაშოების შეძენა, რამდენიმე ბაღის ადაპტირება შშმ პირებისთვის, ფასადებისა და მისასვლელი გზის რეაბილიტაცია;
- უწყვეტად გაგრძელდება სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების მოდერნიზება, რაც უზრუნველყოფს ბავშვისთვის სკოლაში საჭირო მრავალმხრივი – აკადემიური, ფუნქციური, ქცევითი, ემოციური და სოციალური უნარების განვითარებას; განხორციელდება ღონისძიებები სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვებზე მორგებული განათლების მომსახურების უზრუნველსაყოფად;
- მნიშვნელოვნად გაიზრდება ზოგადი განათლების საბიუჯეტო დაფინანსება, გაიზრდება მასწავლებელთა და სკოლის ადმინისტრაციული პერსონალის შრომის ანაზღაურება;
- რეფორმის ფარგლებში დაინერგება მოსწავლის განვითარებაზე ორიენტირებული სწავლა-სწავლების პრინციპები;
- მუნიციპალიტეტის მხარდაჭერით განხორციელდება ქუთაისში იდენტიფიცირებული 6-დან 16 წლამდე სკოლის მიღმა დარჩენილი ბავშვების ოჯახებთან/ფაქტობრივ მეურვეებთან კომუნიკაცია ბავშვების განათლების უფლების უზრუნველყოფის მიზნით.
- მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ იგეგმება ქ. ქუთაისის 5 საჯარო სკოლის (№8 ,№23, №22, №14 და №19) გამაგრება/სრული რეაბილიტაცია;
- გაიზრდება პროფესიული საგანმანათლებლო და მომზადება-გადამზადების პროგრამების ხელმისაწვდომობა, შემუშავდება პროფესიული განათლების მიღმა მყოფი მოწყვლადი ჯგუფების იდენტიფიკაციისა და პროფესიულ განათლებაში ჩართვის მექანიზმები; ამოქმედდება პროფესიული განათლების მასწავლებლის შედეგებზე ორიენტირებული შრომის ანაზღაურების ახალი სქემა;
- გაიზრდება უმაღლესი განათლების საბიუჯეტო დაფინანსება, შემუშავდება უმაღლესი განათლების სისტემის დაფინანსების ახალი მოდელი, რომელიც ხელს შეუწყობს საგანმანათლებლო დაწესებულების მდგრად განვითარებასა და სასწავლო პროცესის სწავლის შედეგებზე ორიენტირებას;
- 2021-2025 წლებში აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სხვადასხვა კორპუსებში გაწეულ ინფრასტრუქტურულ სამუშაოებზე, ჯამში, 3 მლნ 800 ათასი ლარი დაიხარჯება.
- შემუშავდება და დამტკიცდება საქართველოში მეცნიერებისა და ტექნოლოგიების განვითარების სტრატეგიული გეგმა, რომლის მთავარი მიზანი იქნება ქვეყნის ეკონომიკის სტრატეგიული განვითარების მოთხოვნებსა და საზოგადოების საჭიროებებზე ორიენტირებული ინსტიტუციების განვითარების ხელშეწყობა.

ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲐ, ᲡᲞᲝᲠᲢᲘ ᲓᲐ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲣᲚᲘ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ

„ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲝᲪᲜᲔᲑᲘᲡ“ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐᲨᲘ ᲛᲝᲡᲕᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ, 2012 ᲬᲚᲘᲡ ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲠᲘᲓᲐᲜ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲛᲐ ᲛᲘᲐᲦᲬᲘᲐ ᲐᲠᲡᲔᲑᲘᲗᲘ ᲬᲘᲜᲘᲡᲕᲚᲐᲡ, ᲞᲠᲐᲥᲢᲘᲙᲣᲚᲐᲓ, ᲧᲕᲔᲚᲐ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲔᲑᲘᲗ. ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲐ ᲔᲥᲪᲔᲕᲐ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐᲡ, ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲣᲚᲘ ᲛᲔᲛᲙᲕᲘᲓᲠᲔᲝᲑᲘᲡ ᲛᲝᲕᲚᲐ-ᲞᲐᲢᲠᲝᲜᲝᲑᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲦᲓᲒᲔᲜᲐ-ᲠᲔᲡᲢᲐᲕᲠᲐᲪᲘᲐᲡ, ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲨᲘ ᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲯᲐᲜᲡᲐᲦᲘ ᲬᲔᲡᲘᲡ ᲓᲐᲛᲙᲕᲘᲓᲠᲔᲑᲐᲡ. ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲣᲚᲘ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲘᲡ ᲡᲢᲠᲐᲢᲔ�გᲘᲣᲚᲘ ᲛᲘᲖᲜᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲛᲝᲪᲐᲜᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲔᲑᲐᲡ.

ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲐ

2020 წელს, კულტურის მიმართულებით, ქ. ქუთაისის ბიუჯეტის ხარჯებმა და არაფინანსური აქტივების ზრდამ 6 მლნ 877,9 ათასი ლარი შეადგინა.

ქუთაისში ფუნქციონირებს – 5 თეატრი (დრამატული, ოპერისა და ბალეტის, თოჯინების, პანტომიმისა და ნიღბების), 15 მასობრივი და უნივერსალური ბიბლიოთეკა, სხვადასხვა პროფილის 7 მუზეუმი, ფოლკლორის სასახლე, კულტურის ცენტრი, მოსწავლე-ახალგაზრდობის პარკი, სამხატვრო გალერეა და სხვა სახელოვნებო და კულტურული დაწესებულებები. ფუნქციონირებს (4 სამუსიკო სკოლა, მ. ბალანჩივაძის სახელობის ცენტრალური სამუსიკო სასწავლებელი, გ. დარსაველიძის სახ. ხელოვნების სკოლა, გ. მაისურაძის სახ. სამხატვრო სკოლა, ა. ვასაძის სახ. ფოლკლორის სკოლა, მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლე).

2013-2021 წლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა საზოგადოების ჩართულობა კულტურულ ცხოვრებაში – იმართება შეხვედრები ღვაწლმოსილ ადამიანებთან, ეწყობა გამოფენები, ტარდება სპექტაკლები, კონცერტები, პოეზიის საღამოები, კონფერენციები, მნიშვნელოვანი თარიღებისა და თემებისადმი მიძღვნილი ლექცია-სემინარები და სხვა ღონისძიებები.

2019 წელს სსიპ – ნიკო ბერძენიშვილის სახელობის ქუთაისის ისტორიული **მუზეუმი** თანაპარტნიორის სახით ჩაერთო ტრაპზონის (თურქეთი) კულტურისა და ტურიზმის ცენტრის პროექტში: PROJECT OF COOPERATION FOR DEVELOPMENT OF CULTURE AND TOURISM IN BLACK SEA BASIN AND ENABLING ITS SUSTAINABILITY.

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ეროვნულ სააგენტოსა და კრაკოვის მუზეუმს შორის დაფუძნებული თანამშრომლობის ფარგლებში, მხარეებს შორის სამმხრივი თანამშრომლობის შეთანხმებას მოეწერა ხელი, რომელიც კრაკოვის ეროვნული მუზეუმისა და ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის ურთიერთთანამშრომლობასა და ერთობლივ გამოფენებს ითვალისწინებს.

ქ. ქუთაისში, ფუნქციონირებს საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს დაქვემდებარებაში არსებული, დ. ნაზარიშვილის სახელობის ქუთაისის ისტორიულ-არქიტექტურული მუზუმ-ნაკრძალი, რომელსაც, 2013-2019 წლებში, 4908 ვიზიტორი სტუმრობდა, იმავე პერიოდში, მუზეუმში 5 თემატური გამოფენა მოეწყო. ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზემს, 2013-2021 წლებში, 43618 ვიზიტორი ჰყავდა, იმავე პერიოდში მუზეუმში 89 თემატური გამოფენა მოეწყო.

2013-2021 წლებში ქუთაისში განხორციელდა კულტურის ობიექტების მშენებლობა-რეაბილიტაციის პროექტები. მათ შორის: ბალანჩივაძის სახელობის ცენტრალური სამუსიკო სასწავლებლის რეაბილიტაცია (33,6 ათასი ლარი), გ. დარახველიძის სახელობის ხელოვნების სკოლის, მ. ბალანჩივაძის სახელობის ცენტრალური სამუსიკო სასწავლებლისა და ზ. ანჯაფარიძის სახელობის III სამუსიკო სკოლის სარემონტო სამუშაოები (ჯამში, 91, 8 ათასი ლარი), მოსწავლე-ახლგაზრდობის სასახლის, ქ. ქუთაისის კულტურულ, სახელოვნებო, საგანმანათლებლო დაწესებულებათა გაერთიანებისა და მ. ბალანჩივაძის სახელობის №1 სამუსიკო სკოლის სარემონტო სამუშაოები (ჯამში, 36,6 ათასი ლარი), დ. მხეიძის სახელობის ფოტო-კინო მატიანის მუზეუმის რეაბილიტაცია (17,582 ათასი ლარი), ქუთაისის გეგუთის სასახლის სამხრეთით არსებული კამარისა და მარნის საკონსერვაციო სამუშაოები (60 ათასი ლარი) და სასახლის სარეაბილიტაციო-საკონსერვაციო სამუშაოები (250 ათასი ლარი – საქართველოს ისტორიულ ძეგლთა დაცვისა და გადარჩენის ფონდის მიმდინარე პროექტი). **2018 წელს** დაიწყო და ამჟამადაც მიმდინარეობს გელათის სამონასტრო კომპლექსის რეაბილიტაცია (200 ათასი ლარი),

2018 წელს, ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია-განვითარების ფარგლებში, კულტურის სამინისტროს დაფინანსებით, არაერთი პროექტი განხორციელდა (ბიუჯეტი – 15 მლნ 837 ათასი ლარი). მათ შორის, ქ. ქუთაისის იაკობ გოგებაშვილის სახელობის თოჯინების პროფესიული სახელმწიფო თეატრის რეაბილიტაციაზე 585, 2 ათასი ლარი დაიხარჯა. **2019 წელს –** „ოქროს ჩარდახის“ მიმდებარე ტერიტორიაზე დაიდგა პაოლო იაშვილისა და ტიციან ტაბიძის ძეგლები, რასაც 110 ათასი ლარი მოხმარდა. **2020 წელს** სრული რეაბილიტაცია ჩაუტარდა ხელოვნების სკოლას, №№ 1, 2 და 3 სამუსიკო სკოლებს, რაზეც, ჯამში, 934,7 ათასი ლარი დაიხარჯა, ცენტრალური სამუსიკო სკოლის გათბობის სისტემის რეაბილიტაციას კი 104, 3 ათასი ლარი მოხმარდა. **2021 წელს** №4 სამუსიკო სკოლის სახურავის შეკეთებას 4647,0 ლარი მოხმარდა. ასევე ქუთაისის მოსწავლე-ახალგაზრდობის პარკსა და ქუთაისის ბოტანიკურ ბაღში ვიდეო-სათვალთვალო სისტემების მონტაჟისთვის 7 824 ლარი დაიხარჯა. აღდგა „მზეჭაბუკის“ მონუმენტი 9 აპრილის ქუჩაზე, რაც 78,9 ათასი ლარით დაფინანსდა.

2013-2021 წლებში, ქ. ქუთაისში, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს დაფინანსებით, არაერთი პროექტი განხორციელდა. მათ შორის: 2013-2015 წლებში განხორციელდა ბაგრატის საკათედრო ტაძრის იატაკის მოწყობის სამუშაოები (465, 1 ათასი ლარი); **2014 წელს –** ქუთაისის მუზეუმ-ნაკრძალის მუზეუმის შენობის სარეაბილიტაციო სამუშაოები (11 ათასი ლარი). **2019 წელს –** დიმიტრი ნაზარიშვილის მემორიალური სახლ-მუზეუმის სარემონტო სამუშაოები (8,5 ათასი ლარი).

2016-2020 წლებში, კულტურის სამინისტროს ხელშეწყობით, ქ. ქუთაისში არაერთი ღონისძიება განხორციელდა. მათ შორის: ქ. ქუთაისის მელიტონ ბალანჩივაძის სახელობის ოპერისა და ბალეტის პროფესიული სახელმწიფო თეატრის რეაბილიტაცია 358,8 ათასი ლარით დაფინანსდა; ლადო მესხიშვილის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრის შენობის რეაბილიტაცია – 399,8 ათასი ლარით.

2019 წელს, მთელი საქართველოს მასშტაბით, მათ შორის ქუთაისში, კულტურული ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის მიზნით, განხორციელდა პროექტები: „დასავლეთ საქართველოს ცნობილი და უცნობი კულტურული მარშრუტები“ (32,3 ათასი ლარი) და „მოდერნის სტილის არქიტექტურული მემკვიდრეობის კვლევა საქართველოში – გამოვლენა, აღრიცხა და შესწავლა“ (19,7 ათასი ლარი). ქუთაისს ფარავს კულტურული მარშრუტები „ალექსანდრე დიუმას კვალდაკვალ” და „ებრაული მემკვიდრეობის ევროპული მარშრუტი საქართველოში“, რომლებიც ადგილობრივი კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაციას უწყობს ხელს. იმავე წელს, დაფინანსდა პროექტი – შემოქმედებითი ქუთაისი ეკონომიკური განვითარებისათვის (19,9 ათასი ლარი).

2019 წელს, კულტურის ხელშეწყობის პროგრამით, სსიპ შემოქმედებითი საქართველოს მიერ გამოცხადებული კონკურსის – „თანამედროვე სახვითი ხელოვნების განვითარება თბილისსა და რეგიონებში“ – საფუძველზე, დაფინანსდა პროექტი – „შოთა ბოსტანიშვილის, ელენ სუხიტაშვილისა და ელენე ჩანტლაძის გამოფენა და პუბლიკაციები“ (15 ათასი ლარი).

2020 წელს, თანამედროვე ხელოვნების ფესტივალების კონკურსის ფარგლებში, სსიპ შემოქმედებითი საქართველოს მიერ, განხორციელდა პროექტი – „ქუჩის ხელოვნების ფესტივალი ნიკო “ (17,5 ათასი ლარი); პროექტმა სხვადასხვა მუნიციპალიტეტი, მათ შორის ქუთაისიც მოიცვა.

2025 წლამდე კულტურის სფეროს განვითარებისთვის დაგეგმილია:

- აქტიურად გაგრძელდება კულტურული ღონისძიებების მხარდაჭერა და კულტურული დაწესებულებების დაფინანსება, კერძოდ: პროგრამები – ლიტერატურის პოპულარიზაციის მიზნით, თეატრების ფუნქციონირების მხარდაჭერის მიზნით, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების მხარდასაჭერად, მხატვართა მხარდაჭერის პროგრამა, ქუთაისელი დამსახურებული არტისტებისა და ქურუმების სტიპენდიების პროგრამა, კინო შემეცნებით-გასართობი კვირეულები;
- გაგრძელდება სხვადასხვა საიუბილეო საღამოების, კონცერტებისა და მასობრივი ხასიათის სახალხო დღესასწაულების ორგანიზება;
- ხელი შეეწყობა ქუთაისში **კულტურული ტურიზმის** განვითარებასა და ქუთაისის, როგორც საფესტივალო ქალაქის კონცეფციის დამკვიდრებას, რომლის ფარგლებშიც ქალაქი მუსიკალურ და თეატრალურ, ასევე კინოფესტივალებს უმასპინძლებს;
- გაგრძელდება, ადგილობრივი ხელოვანების მხარდაჭერისა და პოპულარიზაციის მიზნით, მათი სხვადასხვა კონკურსზე, ფორუმებსა თუ კონფერენციებზე გამგზავრების ხელშეწყობა, გაიმართება სხვადასხვა ხასიათის კულტურული ფორუმები, კონკურსები, პლენერები და ა.შ.;
- გაგრძელდება და გაფართოვდება კულტურისა და ხელოვნების სფეროში არსებული დაწესებულებებისა და შენობების სარეაბილიტაციო სამუშაოები: განხორციელდება ქუთაისის მელიტონ ბალანჩივაძის სახელობის ოპერისა და ბალეტის პროფესიული სახელმწიფო თეატრის შენობის რეაბილიტაცია; ასევე, ქუთაისის ლადო მესხიშვილის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრის შენობის რეაბილიტაცია;
- განხორციელდება ქუთაისის სუვენირების პაკეტის დახვეწა, ხელნაკეთი ნივთების წარმოება, ქუთაისის ქუჩების მოდერნიზებაში ახალგაზრდების ჩართვა (street art);
- გაგრძელდება ქუთაისელი ახალგაზრდების მრავალფეროვან ადგილობრივ და საერთაშორისო პროექტებში ჩართვის ორგანიზება;
- შეიქმნება ღია სივრცეები ახალგაზრდებისათვის, სადაც ისინი შეძლებენ სხვადასხვა კულტურულ-საგანმანათლებლო აქტივობების დაგეგმვას, დასვენებასა და თვითრეალიზებას, მასობრივი კულტურულ-შემოქმედებითი საღამოების, ღია საჯარო ლექციებისა და სემინარების ორგანიზებას, კომერციული ინიციატივების დაგეგმვასა და განხორციელებას;
- 2021 წელს /29 სექტემბერი, 1 ოქტომბერი/ დაგეგმილია ევროპის საბჭოს კულტურული მარშრუტების ფორუმის ღონისძიებები;
- შემუშავდება ქალაქის კულტურის სფეროს ერთიანი სტრატეგია.

სპორტი

ა(ა)იპ ქ. ქუთაისის სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანებაში ფუნქციონირებს სპორტის სხვადასხვა მიმართულების 11 სკოლა, ყინულის მოედანი, ტაეკვანდოს სპორტული კლუბი, სპორტის სასახლე, საცხენოსნო სპორტული კლუბი და რაგბისა და ფეხბურთის მოედნების კომპლექსი.

სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანებაში სულ 4445 სპორტსმენი და სხვადასხვა კატეგორიის 273 მწვრთნელია (მათ შორის, 210 სერტიფიცირებული მწვრთნელი), მათგან 42 დამსახურებული მწვრთნელი, 39 კი – სპორტის დამსახურებული მოღვაწეა.

სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანებაში ყველა სპორტის სახეობა არის უფასო.

აღსანიშნავია, რომ ტოკიოს ოლიმპიურ თამაშებში 3 ქუთაისელი სპორტმენი იღებდა მონაწილეობას გიორგი ხარაბაძე - კრივი, სანდრო ბაზაძე - ფარიკაობა, შოთა მიშველაძე - ძალოსნობა

2020 წელს სპორტის მიმართულებით ქ. ქუთაისის ბიუჯეტის ხარჯებმა და არაფინანსური აქტივების ზრდამ 7 მლნ 664,8 ათასი ლარი შეადგინა, 2013 წლის ანალოგიური მაჩვენებლი კი 4 მლნ 868.3 ათასი ლარი იყო.

2013 წლიდან ქუთაისში, ძირეულად შეიცვალა სპორტისა და ახალგაზრდობის მიმართულებების პოლიტიკა, რასაც ცხადყოფს, 2014-2017 წლებში, ქუთაისის სპორტული წარმატებების სტატისტიკაც. კერძოდ, 2016-2017 წლებში, ქუთაისის „ტორპედომ“ საქართველოს თასი მოიპოვა, საკალათბურთო კლუბი „ქუთაისი“ 2015 წლის საქართველოს ჩემპიონი, 2016 წლის გათამაშების ვიცე-ჩემპიონი და საქართველოს თასის მფლობელი გახდა. 2016 წელს რაგბიში გამართულ ჩემპიონატში სარაგბო კლუბმა -„აია“, შვიდკაცა რაგბიში საქართველოს ჩემპიონის ტიტული მოიპოვა. 2016-2017 წლებში, ქალთა ფეხბურთის გუნდმა, ფრენბურთში ვაჟთა ქალაქის ნაკრებმა და ჰოკეის ქალთა ნაკრებმა საქართველოს ჩემპიონის ტიტულები მოიპოვეს.

ქუთაისი სისტემატურად მასპინძლობს სხვადასხვა სახეობის ადგილობრივ თუ საერთაშორისო ტურნირებს, რომლებშიც ადგილობრივი სპორტსმენები დიდ წარმატებას აღწევენ: 2015 წელს ქუთაისმა სწრაფ ჭადრაკსა და 17 წლამდე გოგონების ხელბურთში ევროპის ჩემპიონატებს უმასპინძლა. 2016 წელს კი, 2016-2017 წლების მსოფლიო თასის გათამაშების ჯგუფური ეტაპის, ევროპის ზონაში 20 წლამდე ვაჟთა შორის ხელბურთის ტურნირი გაიმართა, სადაც საქართველოს ნაკრებთან ერთად ალბანეთის, დიდი ბრიტანეთის, სომხეთის, მოლდოვის, მალტისა და კოსოვოს ნაკრებები მონაწილეობდნენ. 2017 წელს, ქუთაისში რაგბის ახალგაზრდული მსოფლიო ჩემპიონატი გაიმართა. 2018 წელს ქუთაისელმა სპორტსმენებმა 338 სხვადასხვა დონის ტურნირსა და შეჯიბრებაში მიიღეს მონაწილეობა და 130-მა მათგანმა საპრიზო ადგილი დაიმსახურა. ქუთაისელმა სპორტსმენებმა არაერთი დამსახურებული წარმატება მოიპოვეს საერთაშორისო თუ ადგილობრივი მნიშვნელობის ტურნირებსა და ჩემპიონატებში.

2014-2020 წლებში განხორციელდა მუნიციპალიტეტის სპორტული ობიექტების მშენებლობა-რეაბილიტაციის არაერთი პროექტი. მათ შორის: 2015 წელს – სპორტული მოედნების მშენებლობა-რეაბილიტაციის 12 პროექტი დაფინანსდა (255,1 ათასი ლარი), **2016 წელს** განხორციელდა სპორტული მინიმოედნების მშენებლობა-რეაბილიტაციის 39 პროექტი (605,9 ათასი ლარი). **2017 წელს** სპორტული მინიმოედნების მოწყობა-რეაბილიტაციის 26 პროექტზე 939 ათასი ლარი დაიხარჯა; **2017-2018 წლებში,** 3 სტანდარტული სპორტული მოედნის მოწყობა-რეაბილიტაციას 6 მლნ 133, 5 ათასი ლარი მოხმარდა, ხოლო **სამინისტროს დაფინანსებით** 10 სტანდარტული სპორტული მოედნის მოწყობა-რეაბილიტაციას – 9 მლნ 49,2 ათასი ლარი. **2018 წელს –** სპორტული მინიმოედნების მოწყობის 18 პროექტი განხორციელდა (ჯამში, 667,4 ათასი ლარი); **2017 წელს დაიწყო და 2018 წელს** დასრულდა მაია ჩიბურდანიძის სახელობის საჭადრაკო სკოლის რეაბილიტაცია (I ეტაპი – 235,6 ათასი ლარი, დასრულება – 99,6 ათასი ლარი). **2020 წელს დასრულდა –** ძიუდოს დარბაზის (ნიკეას ქ. №17 – 69, 3 ათასი ლარი), თავისუფალი ჭიდაობის დარბაზის (ხარებავას ქ. – 64,4 ათასი ლარი), მძლეოსნობის სკოლის (თამარ მეფის ქ. – 288,5 ათასი ლარი), კრივის დარბაზის (პუშკინის ქ. – 92 ათასი ლარი), ფარიკაობის სპორტული სკოლის დარბაზის (ზ. გამსახურდიას ქუჩა – 72,1 ათასი ლარი) რეაბილიტაცია, №17 სპორტულ სკოლაში გათბობის სისტემის მოწყობა (ნიკეას ქ. – 294,3 ათასი ლარი); **სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრომ დააფინანსა,** ქ. ქუთაისში ხელოვნურსაფარიანი სარაგბო/საფეხბურთო მოედნის მშენებლობა (3 მლნ 96,8 ათასი ლარი).

2021 წელს დასრულდა – სპორტული მოედნების მშენებლობა-რეაბილიტაციის 13 პროექტი (ჯამში, 564,6 ათასი ლარი). საერთო ჯამში, **2015-2020 წლებში,** ქ. ქუთაისში გარესავარჯიშო მოწყობილობები ქალაქის 61 სხვადასხვა ადგილას დაიდგა, რაზეც, ჯამურად 1 მლნ 39,4 ათასი ლარი დაიხარჯა. **ამჟამად მიმდინარეობს** სპორტული მინიმოედნების მშენებლობის 5 პროექტი (ავტომშენებლის გამზირის №7-№9 მიმდებარედ, ავტომშენებლის გამზ. №20-ის უკან, ყოფილი კომენდატურის შენობის მიმდებარედ, ბუკიას №13-ის მიმდებარედ;, ჩხობაძის ქ. III შესახვევის მიმდებარედ), რაზეც, ჯამში, 499,8 ათასი ლარი დაიხარჯება. ასევე, მინიმოედანი აშენდება ბუხაიძის ქ. №3 და ჯავახიშვილის ქ. №73-ის მიმდებარედ, რასაც 45 ათასი ლარი მოხმარდება (მიმდინარეობს ტენდერი). **2020 წელს დაიწყო და 2022 წლის ოქტომბერში დასრულდება** საცურაო აუზის მშენებლობა ქ. ქუთაისში, რასაც რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი (რგპფ) 8 მლნ 384,8 ათასი ლარით დააფინანსებს.

ქუთაისის მუნიციპალიტეტში, სპორტის სხვადასხვა სახეობის პოპულარიზაციისა და ხელშესაწყობად, ტარდება სახელობითი, რესპუბლიკური და საერთაშორისო ტურნირები; შშმ პირებისთვის ფინანსდება სპორტული შეჯიბრები მკლავჭიდში, წოლმჭიმში, ნარდსა და შაშში. მოსწავლეებში ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაციისა და სპორტული აქტივობების მხარდასაჭერად ტარდება სასკოლო სპორტული ოლიმპიადა. **მუნიციპალიტეტი აფინანსებს –** ავტორალს პროფესიონალ და მოყვარულ მრბოლელთა მონაწილეობით, ხელს უწყობს რაგბისა და ბალახის ჰოკეის განვითარებას სხვადასხვა კლუბების მხარდაჭერით; ასევე, ქვეყნის ფარგლებს გარეთ, მსოფლიო და ევროპის ტურნირებზე, ქუთაისელი სპორტსმენების ტრანსპორტირებასა და მათთან დაკავშირებულ სხვა ხარჯებს მუნიციპალიტეტი აფინანსებს. წლის წარმატებულ სპორტსმენებს ყოველთვიურად ერიცხებათ სტიპენდია და იმართება საზეიმო მიღება. სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანებაში დასაქმებულ, სპორტის დამსახურებულ მწვრთნელებს/მუშაკებს/მოღვაწეებს ყოველთვიურად გადაეცემათ ფულადი ჯილდო; ასევე ერთჯერადი ფულადი ჯილდო გადაეცემათ: ვეტერან სპორტსმენებსა და მწვრთნელებს საიუბილეო თარიღებთან დაკავშირებით. საქართველოს, ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატებზე გამარჯვებულ/პრიზიორ სპორტსმენებს, გამარჯვებულ ვეტერან სპორტსმენებსა და მწვრთნელებს. დაწესებულია ყოველთვიური სტიპენდია ოლიმპიური ჩემპიონებისა და სპორტის რაინდის წოდების მქონე პირთათვის.

ახალგაზრდული პოლიტიკა

2013 წელს ახალგაზრდული ღონისძიებებისათვის ქუთაისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გამოყოფილი იყო 233 ათასი ლარი. 2013-2017 წელს, წინა წლებთან შედარებით, ახალგაზრდობის საქმეთა განყოფილებამ განახორციელა მრავალი ინოვაციური პროექტი, მათ შორის: სოციალური კვირეული (130 შშმ პირი და სოციალურად დაუცველი ბავშვი), თამბაქოს საწინააღმდეგო აქცია-პროექტი „ჩააქრე“, „ევროპის დღეების” ფარგლებში, ფოტოგამოფენა „ევროპელების თვალით დანახული საქართველო” და ესეების კონკურსი – „რატომ ევროპა“. საერთაშორისო ელექტრონული მუსიკის ფესტივალი KUTAISI ELECTRONIC MUSIC FESTIVAL , ახალგაზრდა ქუთაისელი მხატვრების გამოფენა, კინოსკოლა ქუთაისელი ახალგაზრდებისათვის, „გვირილობის“ დღესასწაული, ნიუპორტი-ქუთაისის დამეგობრებიდან 25 წლისთავის აღსანიშნავი ღონისძიებები, ახალგაზრდული ბანაკები საქართველოს სხვადასხვა რეგიონში და სხვ.

ახალგაზრდული განყოფილების ძირითადი პრიორიტეტებია: ახალგაზრდული ინიციატივების მხარდაჭერა, ნიჭიერი ახალგაზრდების გამოვლენა, მათი საქმიანობის ხელშეწყობა, ახალგაზრდების საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართულობის ხელშეწყობა, შშმ პირების საზოგადოებაში ინტეგრირება, ახალგაზრდებში მოხალისეობის პოპულარიზაცია, ახალგაზრდული საჭიროებების კვლევა და ა.შ., რისთვისაც 2021 წლის ბიუჯეტიდან გამოყოფილია 286,3 ათასი ლარი.

ახალგაზრდული საქმიანობის განვითარებისათვის 2021-2023 წელს დაგეგმილია:

- ახალგაზრდული სივრცეების შექმნა;
- ახალგაზრდული ინიციატივებისა და იდეების მხარდაჭერა;
- უსაფრთხო და ინკლუზიური ახალგაზრდული პროგრამების მხარდაჭერა, რომლებიც არაფორმალური განათლების საშუალებით ხორციელდება და ხელს უწყობენ ახალგაზრდებში სხვადასხვა კომპეტენციების განვითარებას;
- ახალგაზრდების საერთაშორისო პროექტებში ჩართულობის გაზრდის ხელშეწყობა;
- ახალგაზრდებისათვის გართობის, დასვენებისა და კულტურულ-შემოქმედებითი საქმიანობის შესაძლებლობების შექმნა;
- ახალგაზრდული მუშაკების საქმიანობის მხარდაჭერა.

2025 წლამდე სპორტის მიმართულებით დაგეგმილია:

- 2022 წლის ოქტომბერში დასრულდება საცურაო აუზის მშენებლობა ქ. ქუთაისში. მშენებლობაზე რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან (რგპფ) 8 მლნ 384,8 ათასი ლარი დაიხარჯება.
- უახლოეს მომავალში დასრულდება თანამედროვე სტანდარტების ფეხბურთის ერთი და რაგბის 2 სტადიონის მშენებლობა;
- უზრუნველყოფილი იქნება ქუთაისის სასკოლო, საუნივერსიტეტო და საქალაქო ტურნირების ორგანიზება.

ჩემო ძვირფასებო!

ჩემთვის უდიდესი პატივია, ვიყო ქუთაისელების მიერ არჩეული მერი. ამასთან, ორმაგი პასუხისმგებლობაა, როდესაც მშობლიური ქალაქის თავკაცობას ისევ განდობენ და კვლავ მერობის კანდიდატად გასახელებენ. ამისთვის დიდ მადლობას გადავუხდი „ქართულ ოცნებას“, მადლობას გადავუხდი თითოეულ ქუთაისელს. ზუსტად ვიცი, რას ნიშნავს, ატარებდე ქუთაისის მერის სახელს. ვიცი, ერთდროულად როგორი რთული და საამაყოა, ზრუნავდე ქალაქზე, სადაც დაიბადე და გაიზარდე, ქალაქზე, რომელიც არასოდეს დაგიტოვებია.

ქუთაისის მომავალი თითოეული ქუთაისელის აქტიური მონაწილეობითა და ქალაქის ყველა გულშემატკივართან მჭიდრო თანამშრომლობით უნდა შევქმნათ. ჩვენ ეს პროცესი გასულ წელს დავიწყეთ, როცა მერად არჩევით უდიდესი ნდობა გამომიცხადეთ. დიახ, ყველამ ერთად უნდა გავაძლიეროთ ქუთაისის კულტურულ-საგანმანათლებლო ქალაქის სტატუსი, ვაქციოთ იგი შესაძლებლობების ქალაქად. ჩვენი ქალაქის სტუმარმასპინძლობის განუმეორებელი ხიბლი საქვეყნოდ არის ცნობილი და ერთად კიდევ უფრო მეტს გავაკეთებთ იმისთვის, რომ ჩვენს მუნიციპალიტეტს გაცილებით მეტი ტურისტი ეწვიოს.

ჩემთვის, როგორც ძირძველი ქუთაისელისთვის, უმთავრესი და უპირველესი ამოცანა ქუთაისზე, აქ მცხოვრები ადამიანების მომავალზე ფიქრი და მათზე ზრუნვაა. ვინ, თუ არა, სწორედ ძირძველმა ქუთაისელმა იცის ყველაზე უკეთ, ჩვენი ქალაქის საჭიროებები, თანაქალაქელების ყოველდღიური გამოწვევები, პრობლემები, დამოკიდებულებები, ოცნებები და სურვილები! ეს ცოდნა და გამოცდილება სწორედ ამ ქალაქმა მომცა.

შარშან, მერად არჩევის შემდეგ, საბაზისო პრობლემების მოგვარება დავიწყე, რათა ძლიერი და ურყევი იყოს ზედნაშენი, რომელზეც თქვენი მხარდაჭერის შემთხვევაში, თქვენთან ერთად უნდა ვიზრუნო! მსურს, ჩემი თანაქალაქელების ოჯახებში კეთილდღეობა, ჯანმრთელობა და სიმშვიდე სუფევდეს! მინდა. ამ ქალაქს ისეთ ღირსეულ მერად დავამახსოვრო თავი, როგორსაც ქუთაისი საკუთარი დიდებული წარსულით იმსახურებს!

ქუთაისი ჩვენი ქალაქია! მჯერა, ერთად შევქმნით ამ ქალაქის უკეთეს ხვალინდელ დღეს!

„ქართული ოცნების“ საარჩევნო შტაბი ყველა ამომრჩეველს და საჯარო მოსამსახურეს მოუწოდებს, კენჭისყრის დღემდე და კენჭისყრის დღეს დაიცვან ქცევის შემდეგი წესები:

- დაუშვებელია საჯარო მოსამსახურეების, საჯარო სკოლების პედაგოგების, აგრეთვე სსიპ-ებისა და სახელმწიფოს ან მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული ა(ა)იპ-ების თანამშრომლების საარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობა სამუშაო საათებში ან სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას, მათ შორის სოციალურ ქსელებში პოლიტიკური შეხედულებების გამოხატვის გზით;

- დაუშვებელია სახელმწიფო და მუნიციპალური თანამდებობის პირების მიერ სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენება ამომრჩევლის მიერ ამა თუ იმ საარჩევნო სუბიექტის მხარდაჭერის ან მხარდაჭერისგან თავის შეკავების უზრუნველყოფის მიზნით;

- დაუშვებელია ამომრჩევლისთვის რაიმე მატერიალური ან არამატერიალური სარგებლის გადაცემა ან შესაბამისი დაპირების გაცემა ამომრჩევლის მიერ ამა თუ იმ საარჩევნო სუბიექტის მხარდაჭერის ან მხარდაჭერისგან თავის შეკავების უზრუნველყოფის მიზნით;

- დაუშვებელია ამომრჩევლის იძულება, სხვა პირს გაუმჟღავნოს საკუთარი არჩევანი, მათ შორის საარჩევნო ბიულეტენის ფოტოგადაღების ან საარჩევნო კაბინიდან გამოსვლის შემდეგ ბიულეტენის საჯაროდ ჩვენების გზით;

- კენჭისყრის კაბინაში ფოტო და ვიდეოგადაღება, აგრეთვე შევსებული საარჩევნო ბიულეტენის სხვა პირთათვის ჩვენება დაუშვებელია;

- დაუშვებელია ხმის მიცემა სხვა ამომრჩევლის ნაცვლად, აგრეთვე საარჩევნო ბიულეტენის შევსება სხვა პირის თანდასწრებით;

- კენჭისყრის შენობაში კენჭისყრის დღის 8 საათიდან 20 საათამდე აკრძალულია საარჩევნო აგიტაცია;

- მოვუწოდებთ ყველა პარტიის აქტივისტს, მხარდამჭერსა და ამომრჩეველს, თავი შეიკავონ საარჩევნო უბნის მიმდებარე ტერიტორიაზე დაყოვნებისგან;

- აკრძალულია კენჭისყრის შენობაში ან კენჭისყრის შენობის მიმდებარედ ამომრჩევლის გადაადგილების ფიზიკურად შეფერხება.